გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№21 (24.901) სამშაბათი, 8 - 9 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 1-6, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

## კრიალოსანიუსი

პოლიტიკურად ყველა საერთაშორისო დონეზე ვუჭერთ მხარს უკრაინას, უკრაინული ქალაქების დასახმარებლად 140 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა და უკრაინაში რჩება საქართველოს ელჩი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, საქართველო უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერას გააგრძელებს, ასევე, გაგრძელდება ჰუმანიტარული დახმარებაც.

* * *

სამწუხაროა უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების ცალკეული უარყოფითი განცხადებები, რომლებიც საქართველოს მიმართ კეთდება, - განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ. მისი თქმით, როგორი განცხადებებიც არ უნდა აკეთონ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ეს ვერ გახდება უკრაინის მიმართ პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერის თუნდაც ოდნავ შესუსტების მიზეზი. შეგახსენებთ, საქართველომ რძის პროდუქტებზე ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით რუსეთში 2020 წელს ქართული კერძო კომპანიებისგან გაიგზავნილ მოთხოვნაზე თანხმობა მიიღო.

* * *

მე ვდგავარ იქ, სადაც საქართველო უნდა იდგეს - პრეზიდენტ ზელენსკის, უკრაინის გვერდით. ეს არის ჩემი კულტურის, ტრადიციის ღირსება, ქართველი ერის ღირსება, რომ ჩვენ ვიდგეთ იქ, სადაც იბრძვის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ევროპული მომავლისთვის, - ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ამ დღეებში თბილისში, რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოქალაქეებს. „თქვენ ხართ ის ხალხი, რომელიც წარმოადგენთ საქართველოს ღირსებას - ამისთვის ძალიან დიდი მადლობა“, - განაცხადა მან ვიდეოჩართვისას, რასაც წინ უძღოდა უკრაინის პრეზიდენტის მიმართვა.

* * *

პარლამენტის ბიუროს ინიცირებისთვის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ რეზოლუციის პროექტი წარედგინა. მასში გამოხატულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი პარლამენტის მოწოდება, გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დასაჩქარებლად. ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ რეზოლუციას მისი ფრაქციის მხარდაჭერა ექნება.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

## „ჩვენ შევინარჩუნებთ მშვიდობას“

„რაც უკრაინაში ხდება, ძალიან მძიმე საყურებელია. მინდა, მთავრობის სახელით, კიდევ ერთხელ სრული სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოვხატო უკრაინელი ხალხის და უკრაინის მიმართ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა დონეზე მხარს ვუჭერთ უკრაინას, ყველა საერთაშორისო დონეზე პოლიტიკურად დავუჭირეთ მხარი და რა თქმა უნდა, ამას გავაგრძელებთ. დღეის მდგომარეობით, დახმარების სახით უკრაინაში 140 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა უკრაინული ქალაქების დასახმარებლად. ეს პროცესი გაგრძელდება“ - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე და იმედი გამოთქვა, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს.



მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა უნდა იყოს მშვიდად, ვინაიდან ქვეყანას საფრთხე არ ემუქრება.

„მიუხედავად ამ გამოწვევებისა და პროვოკაციებისა, ქვეყანაში ჩვენ შევინარჩუნებთ მშვიდობას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას ჩვენი მოქალაქეებისთვის, ქვეყნისთვის. მოსახლეობა უნდა იყოს მშვიდად, ჩვენ არავითარი საშიშროება არ გვემუქრება. ასე მშვიდად და მტკიცედ უნდა გავაგრძელოთ ქვეყნის შენება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, აქტიურად დაიწყება დაანონსებული პროექტები და პროგრამები მაღალი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად.

ესაა დასაქმების პროგრამა, ეკონომიკის წამახალისებელი პროექტები.

პრემიერი იაფი მედიკამენტების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ: „ათობით სხვადასხვა დასახელების მედიკამენტზე არის უკვე სამინისტროში შეტანილი განაცხადები რეგისტრაციისთვის. ძალიან მალე დაჩქარდება ეს პროცესი, იმისთვის, რომ კიდევ უფრო დროულად მოხდეს ყველა წამლის ჩანაცვლება და მოსახლეობას ჰქონდეს არჩევანი უფრო იაფიანი წამლის შესაძენად.“

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აქტიურად მუშაობს, რათა ქვეყანაში შეიქმნას წამლის ხარისხის ლაბორატორია.

„რაც მთავარია, თავიდანვე ვთქვით, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა იქნებოდა ხარისხი და ეს არის მიღწეული. რა თქმა უნდა, ყველა ის წამალი, რომელიც შემოვიდა თურქეთიდან, იქნება და არის „ჯი-ემ-პის“ სტანდარტის. ამჟამად, მინისტრი აზარაშვილი აქტიურად მუშაობს, რომ ქვეყანაში შეიქმნას წამლის ხარისხის ლაბორატორია იმისთვის, რომ ყველა ის წამალი, რომელიც იქნება ადგილზე, საქართველოში წარმოებული ან შემოტანილი, იმპორტირებული, იყოს მხოლოდ მაღალი ხარისხის. ამ პროცესს ჩვენ მაქსიმალურად გავაკონტროლებთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**მოამზადა**
**ელენე საყვარელიძემ**

## „იაფი საცხოვრისის“ პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო

***„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში ბათუმში 4 სოციალური სახლი შენდება, სადაც 100 ოჯახი მიიღებს ბინას. პროექტისთვის 8 371 976 ლარია გამოყოფილი. მშენებლობა 2022 წლის ოქტომბერში დასრულდება***

„იაფი საცხოვრისის“ პროექტის 1 ეტაპი 2021 წელს დასრულდა და ბინა 40 ოჯახს გადაეცა. დაიწყო მეორე ეტაპი და მიმდინარეობს დამატებით 40 ოჯახის შერჩევის პროცესი. პროგრამა გათვლილია ბათუმში რეგისტრირებულ იმ მოსახლეობაზე, რომელთაც არ აქვთ ბინა და მისი თვითღირებულების ქირის სახით დაფარვა შეუძლიათ.

მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ადგილზე გაეცნენ.

„ბათუმისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენი მოქალაქეების საბინაო უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზნით, ბათუმის მერიამ მთავრობასთან ერთად შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 4 ახალი სოციალური სახლი აშენდება და 100 ოჯახი მიიღებს წლის ბოლოსთვის ახალ საცხოვრისს. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის ფარგლებშიც უკვე 2025 წლისთვის, 4 წლის განმავლობაში, 3000-ზე მეტი ოჯახი დაკმაყოფილდება, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ არცერთი ოჯახი არ ცხოვრობდეს ავარიულ პირობებში ბათუმში,“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.



აჭარის მთავრობამ და ბათუმის მერიამ სამთავრობო პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ განხორციელება უკვე დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, ბათუმში არსებული ყველა ავარიული შენობა ეტაპობრივად თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსით ჩანაცვლდება და საჭიროების მქონე ოჯახები უზრუნველყოფილნი იქნებიან უსაფრთხო საცხოვრისით.

**ანკა ჩხიკვაძე**


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



აჭარა 100

# „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის - „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის მიზანია ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია, დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება, ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა***

წელს სამინისტრომ პროგრამაში რიგი ცვლილებები განახორციელა როგორც ბენეფიციართა რაოდენობის, ასევე დაფინანსების ლიმიტთან დაკავშირებით. კერძოდ, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისად, გაიზარდა ქვეპროგრამის მოსარგებლის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე დედის და/ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დაფინანსების დღიური ნორმა, ხოლო ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრა 40 პირით.

პროგრამის ბიუჯეტი 313 170 ლარია.




# თანადგომა - უკრაინელებს

**თამაზ მგზავრიძე 27 48 94**

***უსამართლო ომი უკრაინის ტერიტორიაზე არ წყდება. რუსი ოკუპანტები მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ინდობენ. მთელი მსოფლიო სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს, მათ შორისაა საქართველოც, აჭარის მთიანეთის მოსახლეობა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ხულოს, შუახევის, ქედის თვითმმართველობებმა სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხა ჩარიცხეს სპეციალურ ანგარიშზე***

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფელას მკვიდრი გიორგი ნოშრევანის ძე დავითაძე აცხადებს, რომ



ერთ ლტოლვილ ოჯახს გარკვეული დროით შეიფარებს. დაბა შუახევის ცენტრში არსებულ ოროთახიან ბინაში ან სოფელ ცინარეთში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ერთი ოჯახის დროებით შეფარებას აპირებს გაზეთ «აჭარის» ჟურნალისტი ოთარ ცინარიძე.

- სოფელ სამოლეთში, ბირგევლას უბანში, ბიძის მიერ მიტოვებულ საცხოვრებელ სახლში, ერთი ოჯახის დროებით თავშესაფარს ვაწყობთ, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძემ.

ქედის მუნიციპალიტეტში 10-ზე მეტმა ოჯახმა გამოთქვა მზაობა, უკრაინიდან ლტოლვილებს დროებითი თავშესაფარი მისცეს.

ფულად დახმარებებთან ერთად, სხალთის ეპარქიაში სასურსათო პროდუქტებს აგროვებენ უკრაინაში გასაგზავნად.

# აჭარის ჩემპიონატი – ჭადრაკში

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***2-6 მარტს აჭარის ჩემპიონატი გაიმართა 8, 12 და 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელსაც ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ უმასპინძლა***

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ასპარეზობაში წელს გაცილებით მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა, ვიდრე შარშან - სულ 83.

როგორც ფედერაციიის პრეზიდენტმა სალომე მელიამ აღნიშნა, საკმაოდ წარმატებულად გამოვიდნენ აჭარის მუნიციპალიტეტების მოსწავლეები. გოგონათა შორის 8 წლის ასაკობრივ კატეგორიაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე ხულოს, ქედისა და ხელვაჩაურის წარმომადგენლები გავიდნენ.

ყველა ტურნირი შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად წარიმართა.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში აჭარის ჩემპიონები გახდნენ: ალექსანდრე კალანდაძე (მწვრთნელი - ბადრი ბოლქვაძე, ბათუმი), ანასტასია მელაძე (მწვრთნელი - იამზე ბოლქვაძე, ხულო), შოთა ცეცხლაძე (მწვრთნელი - ნინო კეკელიძე, ბათუმი), მარიამ კალანდაძე (მწვრთნელი - თენგიზ დიდმანიძე, ბათუმი), გიორგი ჭანტურია (მწვრთნელი - მარიკა ჯაფარიძე, ბათუმი), კესარია მგელაძე (მწვრთნელი - ნოდარ ლორთქიფანიძე, ბათუმი).

ტურნირს ასევე, ჰყავს საერთო გამარჯვებულები - მარიამ კალანდაძე და კესარია მგელაძე, რომლებმაც თავიანთ ასაკობრივ კატეგორიებში ყველაზე მეტი ქულა დააგროვეს.

პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ფედერაციამ მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა. ჩემპიონებს მედლებთან და დიპლომებთან ერთად თასებიც გადაეცათ. ისინი 2022 წლის საქართველოს ჩემპიონატში შესაბამის ასაკობრივ კატეგორიებში იასპარეზებენ.

- მესამე წელია, აქტიურად ვარ ჩართული ჭადრაკის სწავლებაში, ხშირად ვატარებ შვეიცარიული სისტემით რაიონულ პირველობას სხვადასხვა ასაკში. ვავლენ გამარჯვებულებს. პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს მუნიციპალიტეტის მერია მიფინანსებს - ისინი აჭარის ჩემპიონატში მონაწილეობენ. წელს გახარებული ვართ - ჩვენი ანასტასია მელაძე 8-წლიანებში პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო 12-წლიანებში მაგდა ცეცხლაძემ მეორე ადგილი



დაისაკუთრა. ამ ბოლო დროს ჩვენთან ჭადრაკი პოპულარული გახდა. ზოგჯერ თითო შეჯიბრებაზე 60 ბავშვი მონაწილეობს. მინდა ვთქვა, რომ აქ ძალიან კარგად ჩატარდა ჩემპიონატი. სალომე მელია ყოველთვის გვერდით გვიდგას და შედეგიც, ვფიქრობ, კარგად ჩანს, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის მწვრთნელმა იამზე ბოლქვაძემ.

- ყველა შეხვედრა იყო საინტერესო, მაგრამ ყველაზე მეტად მომეწონა კესარია მგელაძესთან, რომელშიც გავიმარჯვე, - გვითხრა გიორგი ჭანტურიამ.

- შემხვდა როგორც სუსტი, ისე ძლიერი მოჭადრაკეები. ყველაზე საინტერესო იყო დემეტრე გოგიაშვილთან შეხვედრა, რომელიც მოვუგე, - თქვა მარიამ კალანდაძემ.

8-11 მარტს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ქეთევან მუხაშარიას სახელობის მემორიალს უმასპინძლებს ქალთა შორის, 12-დან 15 მარტის ჩათვლით კი აჭარის ჭადრაკის ფედერაცია ისევ აჭარის ჩემპიონატებს ჩაატარებს 10, 14 და 18 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში.

მოჭადრაკეების ხელშეწყობისა და ტურნირის მასპინძლობისთვის სალომე მელიამ მადლობა გადაუხადა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორ თამარ მესხიძეს.

# ღვაწლმოსილი ექიმი ჯემალ ნაკაშიძე დაჯილდოვდა

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილმა პროფესიული საქმიანობის დაწყებიდან 50 წლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის ღვაწლმოსილ ექიმს, ზოგად ქირურგ ჯემალ ნაკაშიძეს სამინისტროს სახელით სიგელი გადასცა***

„მინისტრის, ქალბატონ ნინო ნიჟარაძის სახელით მინდა გადმოგცეთ სიგელი, მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი და მადლობა მოგახსენოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ



სიცოცხლეს“, - ასე მიულოცა ღვაწლმოსილ მედიკოსს მინისტრის მოადგილემ.

ზოგადი ქირურგი ჯემალ ნაკაშიძე ამჟამად „ევექსის“ ჰოსპიტალების - ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში საქმიანობს. 50 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში - ქირურგად, განყოფილების და დეპარტამენტის ხელმძღვანელად. იყო სამხედრო ექიმი, მინიჭებული აქვს აკადემიური დოქტორის წოდება.

## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით და ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კოორდინირებით, უკრაინელი ვიზიტიორების განთავსებ? და სერვისებით უზრუნველყოფ? გრძელდება. მთავრობის ინფორმაციით, უკრაინელი ვიზიტიორების დახმარებისთვის მობილიზებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა აამოქმედა 24 საათიანი ცხელი ხაზი და საქართველოში ჩარჩენილ უკრაინელ ვიზიტიორებს შეუძლიათ მიიღონ დეტალური ინფორმაცია და დახმარება. აჭარის ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრები ბათუმის სასტუმროებში განთავსებულ უკრაინელ ვიზიტიორებს შეხვდნენ, მათ საჭიროებებს გაეცნენ და სერვისების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. აჭარა უკრაინის დამეგობრებულ რეგიონებსა და ქალაქებს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს. გამოიყო შესაბამისი ფინანსური რესურსი.

* * *

ბათუმში, ევროპის მოედანზე უკრაინის მხარდამჭერი მორიგი აქცია გაიმართა. როგორც აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, მხარდამჭერი ჯგუფი ბათუმელებსა და ბათუმში ჩარჩენილი უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეების კოორდინაციისთვის ყოველდღე ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს. ბათუმში გახსნილია ორი ოფისი, სადაც უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარება გროვდება.

* * *

უკრაინას და უკრაინელებს სოლიდარობას უცხადებენ საოჯახო ტიპის სასტუმროები ხულოში. სასტუმრო „ოაზისის“ მფლობელი 10-მდე უკრაინელს განთავსებას და კვებას განუსაზღვრელი დროით სთავაზობს. ომის ეპიცენტრში მყოფი მოქალაქეებისთვის სურსათითა და პირველადი მოხმარების ნივთებით დახმარებას გეგმავს ციური სოლომონიძე. გარდა ამისა, ხულოდან, სოფელ ვერნებიდან ომში მოხალისედ წავიდა ავთანდილ სურმანიძე.

* * *

უკრაინის მხარდასაჭერად ბათუმში არაერთი მოქალაქე გაერთიანდა - სოლიდარობის ნიშნად, ქუჩებში, საცხოვრებელ სახლებზე უკრაინის დროშები გამოფინეს. უკრაინის მხარდამჭერ აქსესუარებს შენიშნავთ ავტომობილებზეც, მაღაზიების უმეტესობაში სამოსიც კი უკრაინის დროშის ფერებშია შერჩეული. დიდება უკრაინას! არა ომს! მშვიდობა ქვეყანას! რუსეთი ოკუპანტია! - ამ წარწერებს არაერთ მისამართზე შენიშნავთ. სავაჭრო ქსელებში მოთხოვნა გაიზარდა უკრაინასთან ასოცირებულ ნივთებზე - დროშებზე, გულსამაგრებზე, მაისურებზე, პირბადეებზე.

* * *

ბათუმის „დინამომ“ თბილისის „დინამო“ დიდი ანგარიშით 3-0 დაამარცხა. ეროვნული ლიგის მეორე ტურში ბათუმის ახალ სტადიონზე ორი „დინამოს“ დერბი შედგა. გულშემატკივარმა სანახაობრივი მატჩი იხილა. ანგარიში მე-11 წუთზე ჟოვინო ფალამარიონმა გახსნა და ბათუმელები დაწინაურდნენ. 13 წუთში ჯიღაურამა ჟოვინოს გაატანინა და ბრაზილიელის დუბლით შავიზღვისპირელებმა ტაიმი 2-0 მოიგეს. 64-ე წუთზე კი ბურთი ჟოვინო ფალამარიონმა შეცვლაზე შემოსულ ირაკლი ბიძინაშვილს გაატანინა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3-0 დაფიქსირდა. ორი ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში 6 ქულით გია გეგუჩაძის ბათუმის „დინამოა“. შემდეგ შეხვედრას ბათუმელები 8 მარტს გორში „დილას“ წინააღმდეგ გამართავენ.

მოამზადა
**ნაირა ფუტკარაძემ**

# ლაშა ბაქუნაიშვილი: დასავლეთმა თავისი შესაძლებლობის დიდი ნაწილი უკვე გამოიყენა და მას კიდევ აქვს არსენალში გარკვეული ბერკეტები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რუსეთის ფედერაციამ წითელი ხაზები გადაკვეთა, უკრაინის მიმართ აგრესიას ახორციელებს, მთელი მსოფლიო გმობს რუსეთის აგრესიას უკრაინასთან მიმართებით. სამწუხაროდ, პუტინის რეჟიმი ჯერჯერობით უკან არ იხევს და კვლავ იმპერიული მისწრაფებით მოქმედებს. თავის მხრივ, დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. დასავლეთის და რუსეთის ურთიერთდაპირისპირებამ მძაფრი ხასიათი შეიძინა. ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში კიდევ უფრო აქტუალურია დასავლეთის კოორდინირებული მოქმედება უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით. არის თუ არა რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში, რა ნაბიჯებს უნდა ელოდნენ პუტინისგან პოსტსაბჭოთა ქვეყნები და, საერთოდ, როგორ განვითარდება მოვლენები? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი* ***ლაშა ბაქუნაიშვილი.***

**- პოლიტოლოგთა და ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს და ამის პირველი ნიშნები უკრაინაშია. რამდენად მოსალოდნელია ეს ომი ბირთვულ ომად იქცეს?**

- ვფიქრობ, მესამე მსოფლიო ომის სტატუსი გადაჭარბებულია. ეს არის ცივი ომის შემდეგ ატლანტიკური დაძაბულობის ყველაზე მწვავე ფაზა, რომელიც სამომავლოდ ევროპულ და მსოფლიო წესრიგში მნიშვნელოვან ცვლილებებს დაუდებს სათავეს და ეს მოხდება მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს წამყვან სახელმწიფოებს. რაც შეეხება ბირთვული იარაღის გამოყენებას, რუსეთს არ აქვს საფუძველი, მასობრივი განადგურების იარაღი გამოიყენოს. ამიტომ სტრატეგიული შემაკავებელი შეიარაღების მზადყოფნაში მოყვანის ბრძანება უფრო მეტად დასავლური საზოგადოების დაშინება-შანტაჟზე არის გათვლილი, ვიდრე მის რეალურ გამოყენებაზე. თუმცა დასავლური საზოგადოება მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდება რუსეთთან სტრატეგიულ-ბირთვულ საკითხებში კონფრონტაციას, რადგან არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელიც ანგარიშის გაწევას მოითხოვს: 1 - ბირთვული შეიარაღების, მათ შორის შემაკავებელი ძალების, გამოყენების პროცედურა რუსეთში დასავლეთისგან განსხვავებით უფრო ერთპიროვნულია და მასში სამხედრო და პოლიტიკური ინსტიტუტები, ფაქტობრივად, არ არის ჩართული. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მიერ დეკლარირებული დოქტრინის მიხედვით, ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხში რფ-ის პრეზიდენტი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, შემდეგ პორტატული მოწყობილობის გზით რაკეტის გასაშვებად დაშიფრულ კოდებს გენშტაბში გზავნის. იქიდან რაკეტის გაშვების ბრძანების კოდები შესაბამის სარაკეტო ბაზას, საჰაერო ან საზღვაო ძალების ხომალდის ეკიპაჟს გადაეცემა და ხორციელდება სამიზნე გასროლა. განსაკუთრებული საფრთხის შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს, გენშტაბის გვერდის ავლით გამშვები კოდები პირდაპირ სარაკეტო ბაზის პირადი შემადგენლობის მეთაურს გაუგზავნოს. 2 - მკაფიოდ და კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული ბირთვული შემაკავებელი ძალების გამოყენების მიზეზები და საფუძვლები რუსეთის 2020 წლის ბირთვული შეკავების შესახებ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებში (იგივე ბირთვული იარაღის გამოყენების დოქტრინაში). დოკუმენტის თანახმად, კრემლს უფლებას აძლევს ბირთვული შემაკავებელი ძალები გამოიყენოს იმ შემთხვევაში თუკი: ა) - რუსეთის ან მისი მოკავშირეების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ბირთვული ან სხვა სახის



მასობრივი განადგურების იარაღი (მგი); ბ) - თუკი იარსებებს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ მის წინააღმდეგ გაშვებული იქნა ბალისტიკური რაკეტა; გ) - განხორციელდება შეტევა ისეთ ძირითად სამთავრობო ან სამხედრო ობიექტებზე, რომელიც პასუხისმგებელია საპასუხო ბირთვული დარტყმის განხორციელებაზე; დ) - თუკი კონვენციური იარაღის გამოყენებით რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის არსებობას განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა. მართალია, დღეს ვერავინ იტყვის, ფსიქოპათ პუტინს თავში რა მოუვა, თუმცა მიუხედავად ამ გარემოებებისა, ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე მაინც არ არსებობს. ყველა საკითხში პრეზიდენტი, ასე თუ ისე, დამოკიდებულია უახლოეს სამხედრო და პოლიტიკურ გარემოცვაზე, რომელიც მის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს და ნაკლებ სავარაუდოა, რომ უმრავლესობა პუტინის მსგავსად ფიქრობდეს და ერთიანად იყვნენ ჭკუიდან გადასული. ამასთან, პუტინი ასეთი უდიდესი მნიშვნელობის საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას მარტო არ მიიღებს და შეეცდება, ეს კოლექტიური გადაწყვეტილების ხარჯზე გააკეთოს, როგორც უკრაინაში შეჭრის დროს გააკეთა. უკრაინაში აგრესიის განხორციელების გადაწყვეტილება მხოლოდ მას არ მიუღია, მასში ყველა საჭირო ინსტიტუციური რგოლი ჩართო და ამის ამსახველი „საჩვენებელი შოუ“ ტელევიზიით საჯაროდ დადგა... ბირთვული შემაკავებელი ძალების გამოყენება პოლიტიკური მანიპულაციაა და მას იგი დასავლური საზოგადოების დასაშინებლად სჭირდება, რათა ისინი დათმობებზე დაითანხმოს...

> *კრემლმა, რომელმაც უკრაინაში უკვე დაკარგა სამხედრო პოტენციალის ნაწილი, გამოაჩინა სისუსტე და უნიათობა, რომლის ფონზეც მისი მარცხი კონვენციურ კონფლიქტში ისეთ ორგანიზებულ, კონსოლიდირებულ და მოდერნიზებულ ძალასთან, როგორიც არის ნატო, გარდაუვალი იქნება. ასეთ შემთხვევაში ის ჩათვლის, რომ სახელმწიფოს არსებობას საფრთხე ემუქრება, შედეგად მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისკენ უბიძგებს და ბირთვული კონფლიქტის საფრთხე გაცილებით მაღალი იქნება*

**- რუსეთი აგრესიას ახორციელებს უკრაინის მიმართ, რის მიღწევა სურს პუტინს უკრაინაში და თუ კრემლმა მიზანს მიაღწია, შემდეგი მსხვერპლი ვინ იქნება?**

- დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ომში წარმატების მიღწევის შემთხვევაში რუსეთი წარმოუდგენლად გაძლიერდება და მთელ მსოფლიოს საფრთხეს შეუქმნის. ბუნებრივია, არსებობს თეორიული შანსები, რომ ომში გამარჯვებით აღფრთოვანებული პუტინი ახლო სამეზობლოს და მთელ მსოფლიოს საფრთხეს შეუქმნის, მაგრამ ვიდრე ასეთ დასკვნას გავაკეთებდეთ, არსებული გარემოება კარგად უნდა გავაანალიზოთ. 11-დღიანი გმირული ბრძოლის შემდეგ რთულია ვთქვათ, რომ რუსეთი რაიმე ხელშესახებ წარმატებას მიაღწევს. ქვეყნის შეიარაღების 75% სამხედრო ოპერაციაში არის ჩართული, უდიდესია დანაკარგები. განადგურებულია 10 000 სამხედრო მოსამსახურე და ასეულობით სამხედრო ტექნიკა და ეს ფინალი არ არის. საბრძოლო მოქმედებები გრძელდება და დანაკარგები კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. სანქციების გამო უდიდესი ზიანი მიადგა ქვეყნის ეკონომიკას. ამას ემატება ფსიქოლოგიური ფაქტორიც... აღმოჩნდა, რომ რუსეთის სამხედრო მანქანა სულაც არ არის უძლეველი. პირიქით, აშკარად გამოჩნდა, რომ ქვეყნის თავდაცვის სისტემა კორუფციის მიერ არის შეჭმული და დაგლახებული (ისტორიაში ასეთი მინიმუმ ორჯერ გამოჩნდა, ერთი - ყირიმის ომის დროს, მე-19 საუკუნეში და ერთიც - 1904-1905 წლებში, იაპონიასთან ომის დროს). ქვეყანა იზოლირებულია ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე. ომის მოგების რესურსი, ფაქტობრივად, ამოწურულია და რაც უფრო მეტად გააჭიანურებს ომს, მით უფრო მეტად გამოიფიტება. ამის შემდეგაც პუტინმა რაიმე წარმატებას რომც მიაღწიოს, ეს იქნება ე.წ. პიროსის გამარჯვება და სამომავლოდ მას დიდი დრო დასჭირდება, ეგზისტენციური საფრთხე შეუქმნას მეზობლებს ან მსოფლიოს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1 - სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე თუკი ის „წარმატება“, რომელსაც იგი თვლის ომის შეჩერების გარემოებად, აღიარებული არ იქნება და მიღებული უკრაინის ან დასავლეთის მხრიდან, ბრძოლა გაგრძელდება, ხოლო სანქციები დასავლეთის მხრიდან კვლავ ძალაში დარჩება და რუსეთს ის ბედი ეწევა, რაც 1991 წელს საბჭოთა კავშირს; 2 - ამ ომით გამოწვეული ზარალის, ხარჯების და ზიანის ანაზღაურებას ძალიან დიდი ხანი დასჭირდება. არც სანქციები ალაგდება ელვისებურად და ვერც რუსეთი დაბრუნდება უმტკივნეულოდ საერთაშორისო საზოგადოებაში. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორმაგი დანიშნულების პროდუქციით ვაჭრობის სფეროში (მიკროჩიპები, ელექტრონიკური მოწყობილობები და სხვა ტექნოლოგიები, რომელიც სამხედრო ტექნიკის მოდერნიზების ან აღჭურვისთვის არის საჭირო) დიდხანს დარჩება არაფორმალური სანქციები და შეზღუდვები, რამეთუ მისდამი, როგორც აგრესორი სახელმწიფოსადმი, ნდობა აღარ იარსებებს... ამის ფონზე ძალიან რთული და ხანგრძლივი იქნება სამხედრო პოტენციალის აღდგენა. მსოფლიო კი შეიცვალა, შეიცვლება დამოკიდებულებაც რუსეთის მიმართ. რუსეთის სუსტი მხარეების გათვალისწინებით შეიქმნება და კიდევ უფრო დაიხვეწება მისი შემაკავებელი მექანიზმები და ღონისძიებები, როგორც ცივი ომის დროს. თუკი ევროპა შეძლებს ალტერნატიული ენერგომომწოდებლებით მოთხოვნების დაკმაყოფილებას და რუსეთისგან მინიმუმამდე შეამცირებს (ამჟამად ძირითადი მომხმარებელია) ბუნებრივი აირისა და ნავთობის იმპორტს, მაშინ ეს უკანასკნელი დაკარგავს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტებს და პოლიტიკურ გავლენებს. ასე რომ, უკრაინაში ე.წ. გამარჯვების შემთხვევაში გლობალურ პოლიტიკაში რუსეთი ისეთივე ძლიერი ვეღარ იქნება და გაუჭირდება, ვინმე მორიგ მსხვერპლად მონიშნოს, თუკი პოტენციურმა მსხვერპლმა თვითონ არ გამოიჩინა სიმხდალე და უბრძოლველად არ დანებდა მას.

**- რამდენად თანმიმდევრულია დასავლეთი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ უკრაინასთან მიმართებაში?**

- დასავლეთმა თავისი შესაძლებლობების დიდი ნაწილი უკვე გამოიყენა და მას კიდევ აქვს არსენალში გარკვეული ბერკეტები, თუმცა ის ამიერიდან იმოქმედებს ვითარების შესაბამისად. დასავლეთი ცდილობს ადეკვატური ძალა გამოიყენოს, რათა რუსეთს არჩევანის საშუალება დაუტოვოს. დღეს უკრაინა და საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი ითხოვს უკრაინის ცაზე არასაფრენი ზონის გამოცხადებას, მაგრამ ნატო აცხადებს, რომ ეს კონფლიქტში ჩართვის ტოლფასი იქნება. ასეთივე განცხადებას აკეთებს რუსეთიც. კრემლმა, რომელმაც უკრაინაში უკვე დაკარგა სამხედრო პოტენციალის ნაწილი, გამოაჩინა სისუსტე და უნიათობა, რომლის ფონზეც მისი მარცხი კონვენციურ კონფლიქტში ისეთ ორგანიზებულ, კონსოლიდირებულ და მოდერნიზებულ ძალასთან, როგორიც არის ნატო, გარდაუვალი იქნება. ასეთ შემთხვევაში ის ჩათვლის, რომ სახელმწიფოს არსებობას საფრთხე ემუქრება, შედეგად მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისკენ უბიძგებს და ბირთვული კონფლიქტის საფრთხე გაცილებით მაღალი იქნება. ამიტომ დასავლეთის სტრატეგია ზომიერი და თანმიმდევრულია. შესაძლოა, არსებობს შეცდომებიც, მაგრამ ასეთ ფორსმაჟორში შეცდომები და გადაცდომები გარდაუვალია...

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი მიიჩნევს, რომ უკრაინის ცაზე არასაფრენი ზონის შემოღებამ შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს. „ეს ნიშნავს, რომ ნატოს თვითმფრინავებმა უნდა დაბომბონ რუსული თვითმფრინავები, ანუ პირდაპირ ჩაერთონ კონფლიქტში. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსახლეობის დაცვის პასუხისმგებლობა“, - აღნიშნა ბერბოკმა. მანამდე აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა, რომ ნატოს გეგმებში არ არის უკრაინის ცაზე არასაფრენი ზონის შექმნა. შეგახსენებთ, აღნიშნულის თაობაზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოუწოდა და დასძინა, რომ უკრაინის ცის არასაფრენ ზონად გამოცხადება არ უნდა შეფასდეს ნატოს მიერ კონფლიქტში მონაწილეობად. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ მსგავსი გადაწყვეტილება, სწორედ, შეფასდება როგორც ალიანსის კონფლიქტში ჩართვა.

* * *

გუშინ, მოლაპარაკებათა მესამე რაუნდის დაწყებამდე, კრემლმა უკრაინისადმი თავისი მოთხოვნები გაახმოვანა. „უკრაინამ უნდა ცნოს ყირიმი რუსეთის ტერიტორიად, ასევე, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა“, - ამის შესახებ კრემლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა და დასძინა, რომ უკრაინამ შესაბამისი ცვლილებები უნდა შეიტანოს ქვეყნის კონსტიტუციაში, ამასთან, უარი თქვას რომელიმე ბლოკში გაერთიანების პრეტენზიაზე. პრეზიდენტის პრესსპიკერის თქმით, თუ უკრაინა მოსკოვის პირობებს შეასრულებს, რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შეხვედრაზე შეთანხმდნენ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებით, მინისტრები ანტალიაში შეხვდებიან.

* * *

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ხელი მოაწერა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ნატოს ჯარების განლაგების განკარგულებას, - ინფორმაცია „როიტერმა“ გაავრცელა. ორბანის განმარტებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჯარების განლაგების პარალელურად, ქვეყანა დაუშვებს თავისი ტერიტორიის გავლით იარაღის მიწოდებას ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოსთვის. განკარგულებაში ასევე აღნიშნულია, რომ უნგრეთი კრძალავს თავისი ტერიტორიის გავლით ლეტალური იარაღის უკრაინისთვის მიწოდებას.

* * *

ევროკავშირი, უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო, დამატებით სანქციებს ამზადებს რუსეთის ფედერაციისთვის, - განაცხადა საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრმა ბრუნო ლე მერმა. „არ დავიწყებ საუბარს შესაძლო ვარიანტებზე და ჩვენს განზრახვას საიდუმლოდ დავტოვებ, რათა გარანტირებული იყოს ამ ზომების ეფექტურობა,“ - აღნიშნა მინისტრმა. 10-11 მარტს დაგეგმილია ევროკავშირის ქვეყნების მეთაურთა სამიტი, რომლის თავმჯდომარე საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონია.

მოამზადა
ია შველიძე

# ილია ვერძაძე: რუსეთიდან ათწლეულების განმავლობაში მომდინარე ბოროტებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*რუსეთ-უკრაინის ომმა ფარდა ახადა კაცობრიობის აგრესორად შერაცხული პუტინის დაუნდობლობას, კოლექტიური დასავლეთი გაერთიანდა და ძალისხმევას არ იშურებს ჩრდილოური იმპერიის დასასუსტებლად. აქამდე უპრეცედენტო მოვლენების მომსწრე გავხდით, ჯერ ერთი, დასავლეთმა იარაღი მიაწოდა არაწევრ ქვეყანას და მეორეც, დაჩქარებული ტემპებით განიხილება უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი. ამ პროცესში ჩაერთო საქართველოც, რადგან თავის დროზე ვიწვნიეთ რუსეთის აგრესია, რომელიც დაუსჯელი დარჩა, ჩვენ კი ტერიტორიების 20% დავკარგეთ.*

*გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ **ილია ვერძაძესთან,** რომელიც საუბრობს პერსპექტივებსა და ქვეყნის მიმართ ოპოზიციის მავნებლურ როლზე საერთაშორისო მასშტაბით.*

**- როგორ შეაფასებთ რუსეთ-უკრაინის ომს?**

- ეს არის დანაშული არა მხოლოდ უკრაინელი ხალხის, სრულიად კაცობრიობის წინაშე. ეს არის რუსეთის მეთაურის არაადეკვატური ქმედება, რომელიც მიმართულია მსოფლიოს ცივილიზაციის და დემოკრატიის გასანადგურებლად. რუსეთის აგრესია არაერთ ნეგატიურ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან ხელყო დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენიტეტი და ახლა მიმდინარეობს ურთულესი, უთანასწორო ბრძოლები უზარმაზარი ფრონტის ყველა უბანზე.

**- როგორ ფიქრობთ, პუტინი ელოდა უკრაინის ასეთ მედგარ წინააღმდეგობას?**

- სიმართლე გითხრათ, სულ არ მაინტერესებს, რას ელოდა პუტინი, მე მაინტერესებს საერთაშორისო წინააღმდეგობა პუტინის მიმართ, უკრაინის ბრძოლისუნარიანობა და გამძლეობა, რადგან ეს ბოროტება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს მსოფლიოში და სამუდამოდ გაეცეს საკადრისი პასუხი აგრესორებს რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სახით. თუმცა ფაქტია, რომ პუტინი ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა, ისიც ფაქტია, რომ მისი უძლეველობის მითი, რითაც ამდენ ხანს აპელირებდა მრავალი მისი მოტრფიალე, დაიმსხვრა.

**- ფიქრობთ, რომ პუტინი უკვე დაძლეულია?**

- რაც უნდა გააათმაგოს ძალისხმევა და ლოკალურ მიზანს მიაღწიოს, საერთაშორისო საზოგადოებამ აჩვენა, რას ნიშნავს ცივილიზებული სამყაროს კონსოლიდაცია და დაპირისპირება, თუ როგორ ისჯება ის, ვინც შებღალავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, ვინც ხელყოფს ქვეყნის სუვერენიტეტს და შეეცდება სხვა ერების განადგურებას. ყველაფერ ამას თუ გავაანალიზებთ, რამდენი ბრძოლაც უნდა მოიგოს დროის რაღაც მონაკვეთებში, გასაგები გახდება, რომ რუსეთს არ აქვს ამ ომში გამარჯვების შანსი.

**- ვფიქრობ, არა მხოლოდ პუტინი, არავინ ელოდა უკრაინის ასეთ თავგანწირულ წინააღმდეგობას. თავისუფლებისთვის დაღვრილმა სისხლმა კოლექტიური დასავლეთიც გამოაღვიძა, რუსეთის წინაშე შიში დააძლევინა და აქამდე უპრეცედენტო დახმარება გააწევინა.**

- არ მინდა, ეს პაუზა, ყველა რომ განვიცდიდით, შიშით ავხსნა. ვფიქრობ, აქ სულ სხვა რაღაც იყო, ვგულისხმობ პოლიტიკური დიპლომატიის რაღაც ეტაპზე შეჩერებას, რომელიც გარე თვალისთვის გაყინულია, მაგრამ ქვედინებებით არეგულირებს იმ საკითხებს, რომელიც არ არის განკუთვნილი გასაჯაროებისთვის. ბიუროკრატია ახასიათებს ისეთ ბუმბერაზ სახელმწიფოს, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებია და ისეთ კონგლომერატს, როგორიც ევროკავშირია, მაგრამ თუ აკრიფა ინერცია, პირიქით, ძალიან სწრაფად და ყოვლისმომცველად მუშაობს. ახლა სწორედ მსგავს პროცესებთან გვაქვს საქმე. იმ დემოკრატიული ბერკეტების და მექანიზმების ამუშავებისთვის, რომელიც იცავს ადამიანებს და სახელმწიფოებს, გარკვეული



ვადებია საჭირო. ყველა ქვეყანა საკუთარ რისკებს აფასებს და აკეთებს პროგნოზებს. არავინ გასწირავს საკუთარ სახელმწიფოს და როდესაც გადაფასების მომენტი დადგება, რაც უნდა გაიწელოს დროში, მთავარი მაინც შედეგია, რომელიც ყველა განზომილებაში გაამართლებს ზესახელმწიფოების და საერთაშორისო კავშირების თუ მისიების გადაწყვეტილებებს. აქ საუბარია მიზანშეწონილობასა და ერთიან ქმედებებზე.

**- ის, რაც დღეს ნამდვილად აკლია ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს...**

- დიახ, მინდა ამ საკითხზეც გავამახვილო მკითხველის ყურადღება, ვგულისხმობ იმ დემაგოგიას და სიბინძურეს, რასაც დღეს ხელისუფლების მისამართით კადრულობს ჩვენი რადიკალური ოპოზიცია. ზემოთ ხსენებულ, ერთიანი ქმედებების კონტექსტში ძალიან დროულად და კარგად ჩაჯდა საქართველო, რაც აღნიშნა კიდეც აშშ-ის ელჩმა და მრავალმა უცხოელმა დიპლომატმა. ამ კონტექსტს უამრავი მიმართულება აქვს. მათ შორის მნიშვნელოვან საკითხებზე კენჭისყრა ევროსაბჭოში რუსეთისთვის წევრობის შეჩერებასთან დაკავშირებით, შემდეგ - გაეროში რეზოლუციის მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ, აქტივობების განხორციელება ლტოლვილებთან მიმართებაში, მათი მიღება, განსახლება, ჰუმანიტარული დახმარება და ბევრი სხვა რამ.

**- ოპოზიცია თავს დაესხა ხელისუფლებას, რომელმაც სანქციები არ დაუწესა რუსეთს...**

- რაც შეეხება ამ ნაწილს, რასაც დემაგოგიურად ამახინჯებენ, ავრცელებენ და არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ, ცალკე საუბრის თემაა. სანქციები ქმედითი უნდა იყოს. ევროპა და სხვა სახელმწიფოები რას აცხადებენ? რომ არ შეუწყობენ ხელს იმ ტექნოლოგიების მიწოდებაში, რომელსაც რუსეთი იყენებს სამხედრო აგრესიის დროს. არ მისცემენ ტრანსპორტს გადაადგილების საშუალებას, ყოველმხრივ შეუშლიან ხელს ომის წარმოებას. კულტურის და სპორტის მუშაკებმაც განცხადება იმ მიმართულებით გააკეთეს, რომ იზოლირდებიან მათივე რუსი კოლეგებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ და ამართლებენ აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, ყველა განცხადების კონტექსტი ეხება აგრესიის, ომის შეჩერებას. ის უნდა მოქმედებდეს პუტინის ხელისუფლებაზე, რომ გადააფიქრებინოს დანაშაულის გაგრძელება კაცობრიობის წინააღმდეგ, დაახევინოს უკან. საზოგადოება უნდა მართავდეს ამ პროცესს და არა შეშინებული ადამიანები. იგივე რუსეთშიც ბევრმა გაბედა პუტინის დიქტატურის წინააღმდეგ გამოსვლა, რაც დიდი გმირობაა ჩემი აზრით. ახლა მსგავსი სითამამე ნებისყოფის უდიდესი დაძაბვისა და თავგანწირვის ტოლფასია. სიტუაციისადმი რაციონალური მიდგომის უნარი არ უნდა დავკარგოთ, სიბინძურეში არ უნდა გადავიდეთ, როცა საომარი მოქმედებებია და როცა მსოფლიო ომის წინაშე დგას კაცობრიობა, როცა უკრაინაში ერიც და ბერიც იბრძვის, როდესაც ქალები, ბავშვები, მოხუცები იღუპებიან, მაგრამ მაინც არ იხევენ უკან, ცოტა სხვა განზომილებაში უნდა ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რუსები ამზადებენ „ფეიკს“, რომ პრეზიდენტი დანებდა... როგორ გგონიათ, არ გაიშიფრება, რომ ეს სიცრუეა? გაიშიფრება, მაგრამ იმას იმედოვნებენ, რომ სადღაც სარდაფში შეყუჟული მოქალაქე, ჯარისკაცი შემთხვევით რომ ნახავს ამას, დაიწყება დეზორგანიზაცია და არეულობის მარცვალი თავის როლს შეასრულებს. ოპოზიციაც ანალოგიურად იქცევა. აბა, სხვას რას ემსახურება ის საინფორმაციო ნაკადი, რომლის მეშვეობით ცდილობენ, ჩვენი ქმედებები გააუკუღმართონ ან სულ სხვა კონტექსტში მიაწოდონ ხალხს... როგორ შეიძლება ომის პროვოცირებაზე წახვიდე, ხალხის ემოციებზე ითამაშო, ოღონდაც ვიწრო პარტიული ინტერესები დაიკმაყოფილო?!

**- რას გულისხმობთ?**

- ხელისუფლების მიერ რუსეთის აგრესიის დაგმობასთან დაკავშირებით აგორებულ პროტესტს. თურმე ჩვენი განცხადებები და ქმედებები საკმარისად არ ასახავს პროტესტს მოსკოვის ქმედებებზე, მხარდაჭერას საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად უკრაინისადმი, ანუ გვიწუნებენ ნებისმიერ განცხადებას, მიაჩნიათ, რომ სწორედ ისე უნდა ვილაპარაკოთ და იმ ტექსტით ვწეროთ განცხადებები, რომელსაც თავად შეგვირჩევენ. ეს ყველაფერი ერთიანად უნდა განვიხილოთ და მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. ამაში მაინც მივბაძოთ მსოფლიოს, რომელმაც უკვე დააფიქსირა, რომ ძალა ერთობაშია. გახსოვთ, ალბათ, 2008 წელს ოპოზიციამ მორატორიუმი გამოაცხადა. მაშინ არც „ქართული ოცნება“ იყო და არც მე გახლდით პოლიტიკაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცა იმის მიუხედავად, რომ ვის არ ბრალდებოდა ომის დაწყება და რამდენი სადავო საკითხი იყო გასარკვევი ხელისუფლების ირგვლივ. რა მოხდა ახლა? ამჟამინდელი ოპოზიცია ყველა მხრივ ცდილობს ყველა ფაქტი, ყველა ქმედება დამახინჯებული ფორმით წარუდგინოს არა მხოლოდ საკუთარ ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს. შიდა ბაზარზე კი არა, საერთაშორისო ბაზარზე გააქვთ საკუთარი ხელისუფლების მათივე შეთხზული ნეგატივი. არადა, მთავრობის გნებავთ - კლასიკური, გნებავთ - საერთაშორისო ენა, ყველაფერი ევროკავშირთან ერთიან კონტექსტში ჯდება. ისიც კი, რომ აქტიური სანქციების ნაწილს, ისრაელის, თურქეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის მსგავსად, ვერც ჩვენ ვაწესებთ, მით უმეტეს, რომ ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, არავითარი დატვირთვა ჩვენ მიერ გატარებულ აკრძალვებს არ ექნებოდა, ისეთ უარყოფით ჭრილში წარმოადგინეს, იმდენად დამამცირებელი გამოთქმებით „შეამკეს“, არც კი ვიცი, რბილად რომ ვთქვათ, როგორ არ შერცხვათ.

**- უკრაინის ელჩის გაწვევის თემა?**

- ხომ მოუსმინეთ, როგორი გაკვირვებული გახლდათ თავად ელჩი. რა არგაშვება, რა თვითმფრინავი, რა მოხალისეები, საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი ამაზეო. უბრალოდ, არ ყოფილა შეთანხმებული და დისპეტჩერმა ეს კითხვები დასვაო... ხედავთ, რას აკეთებენ? ინფორმაციას ისე აწვდიან მთელი ქვეყნის მოსახლეობას, რომ შემდეგ თავის მართლების რეჟიმში უნდა გასცე პასუხი ყველას. თავის მართლების არანაირ რეჟიმში არ გადავალთ, უხმოდ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. პარლამენტმა გასცა მკაფიო პასუხი ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ გავაკეთეთ განაცხადი ევროკავშირში, ის პუნქტები, რაც ასოცირების ხელშეკრულებით გვაქვს შესასრულებელი, მაინც უნდა შესრულდეს. 2014 წელს რომ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, განაცხადი ორ დღეშიც რომ დაგვეწერა, მაინც მიგვიღებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შევასრულებდით იმას, რაც უნდა შეგვესრულებინა 2024 წლამდე. ამის შემდეგაც კი შეგვამოწმებენ, როგორ გავართვით თავი დაკისრებულ ამოცანას და შესაძლოა 1-2 წელიწადში მიგვიღონ.

**- მაშინ რატომ გავაკეთეთ განაცხადი დაჩქარებული ტემპით?**

- განაცხადის შევსება, უკრაინასთან მიმართებაში პოლიტიკური ჟესტია, რომლითაც ღიად დაანახეს რუსეთს - უკრაინის მიღებასაც დავაჩქარებთ, საქართველოსაც მივიღებთ, დახმარებებსაც გავზრდით, მხარში დავუდგებით და მარტო არავის დავტოვებთო. ოპოზიცია კი ყველაფერ ამას სხვაგვარად ხსნის, ხომ ხედავთ რა ტალღა წამოვიდა. ვუხსნით, განვუმარტავთ, არაფერი ჭრის, წარმოგიდგენიათ?

**- თუ მაინც არ ესმით, რატომ უხსნით? გამგები გაიგებს.**

- კი, გამგები გაიგებს, მაგრამ მაინც განვმარტავთ, იმიტომ რომ ადეკვატურად მოაზროვნეებს გავაგებინოთ. მათი მხრიდან ხალხის შეცდომაში შეყვანის პროცესი, დესტრუქცია, გამუდმებით ხორციელდება. ახლობლებს აუხსნი, მაგრამ ერთდროულად 10-20 ათას ადამიანს ვერ გააგებინებ, რადგან სხედან ტელევიზორებთან და უსმენენ მათ ეკლექტიკას - ერთ მართალ ამბავს არასწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებენ და შემდეგ ვეღარ გაარჩევ ტყუილ-მართალს. ფაქტი ერთია - ჩვენ, ასოცირების შეთანხმებას მოვაწერეთ ხელი, ვიზა-ლიბერალიზაცია მივიღეთ იმიტომ, რომ დავალება კარგად შევასრულეთ. ომის პირველივე დღიდან დავგმეთ რუსეთის აგრესია და ყველა ხელმძღვანელი პირის მყისიერი რეაქცია დაფიქსირდა ღია ეთერში, ტვიტერზე, მედიაში და სხვა. რეზოლუცია პარლამენტმა მიიღო, ახლა ვიღებთ რეზოლუციას ევროკავშირში შესვლაზე, არც ერთ კენჭისყრაში ნეიტრალური არ ვყოფილვართ, თავი არ შეგვიკავებია, პირიქით, გახსნილი პოზიცია დავაფიქსირეთ და რუსეთისთვის ხმის ჩამორთმევას, მის წინააღმდეგ რეზოლუციას, გაეროშიც და ევროკავშირშიც დავუჭირეთ მხარი. ახლა თბილისმა გამოთქვა ლტოლვილების მიღების მზაობა. გროვდება უკრაინაში გასაგზავნი ჰუმანიტარული ტვირთი, ქვეყნის მასშტაბით ორგანიზაციები, საწარმოები, მსხვილი კომპანიები ურიცხავენ ფულს უკრაინას. მაქსიმუმი კეთდება და ამის მიუხედავად, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მაინც იპოვიან ნეგატივს და ამაზე ააგებენ მთელ გადაცემებს. ეს არის არასწორი მიდგომა და უპირველეს ყოვლისა, ხალხის, ქვეყნის უპატივცემულობა. დარწმუნებული ვარ, დრო გავა, ხალხი დაალაგებს მოვლენებს და შედეგით იმსჯელებს.

**- როგორ შედეგს ელოდებით?**

- ველოდები, რომ ამ პატარა ქვეყანამ, საკუთარი ღირსების შეულახავად, ყველაფერი იღონოს სამხედრო აგრესიის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ უკვე გამოვიარეთ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება. მსგავსს არავის ვუსურვებთ. ათწლეულების განმავლობაში რუსეთიდან მომდინარე ბოროტებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი.

**- ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ დაპატიმრებული სააკაშვილი უნდა გაათავისუფლონ და გაუშვან უკრაინაში საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა დასახმარებლად.**

- საქართველოს ომში ვერაფერი შეძლო. გამოცდილების გაზიარებას ვაპირებო, რომ ამბობს, რომელ გამოცდილებას გულისხმობს, ტერიტორიების 20%-ის რუსეთისთვის გადაცემის თუ მებრძოლთა ბრძოლის ველზე მიტოვების? კოდორის ხეობა მაგ მოტივით დავკარგეთ, მანამდე ოსეთს გაუფართოვა საზღვრები და დაარქვა რაღაც მეორე ოსეთი, და ისიც ამ სახელწოდების გამო დავკარგეთ. ანუ მანამდე მოამზადა ყველაფერი, რომ უფრო მეტი წაეღო მტერს. ნუთუ ეს ყველაფერი უნდა ასწავლოს უკრაინის სარდლობას? თუ იქ ყოფნა უნდოდა, ხომ დანიშნეს თანამდებობაზე, რეფორმების გატარება დაავალეს... და რა ქნა? გაიქცა, უკანონოდ გადაკვეთა იმ სახელმწიფოს საზღვარი, რომელმაც მოქალაქეობა, თანამდებობა მისცა და შეიფარა. ახლა სადღა მირბის, რა უნდა? გასაგებია, რომ „ნაციონალები“ შანსს იყენებენ მის გასათავისუფლებლად. უმჯობესია, ახლოს არ გაეკაროს უკრაინელებს, ისინი სააკაშვილის გარეშეც ცუდად არ იბრძვიან, მტერს ღიად, ვაჟკაცურად, უიარაღოდ ხვდებიან, შიშველი ხელებით აჩერებენ ტანკებს. არათუ მე, მთელი მსოფლიო მოხიბლულია მათი თავგანწირვით, მამაცობით. მუდმივად გვაქვს კონტაქტი უკრაინელ მეგობრებთან, ბედნიერები არიან, რომ ცოლ-შვილი დააბინავეს პოლონეთში, არცერთი მამაკაცი არ ტოვებს უკრაინას, სისხლის ბოლო წვეთამდე აპირებს ყველა ბრძოლას. დიდება უკრაინას!

*„ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რუსები ამზადებენ „ფეიკს“, რომ პრეზიდენტი დანებდა... როგორ გგონიათ, არ გაიშიფრება, რომ ეს სიცრუეა? გაიშიფრება, მაგრამ იმას იმედოვნებენ, რომ სადღაც სარდაფში შეყუჟული მოქალაქე, ჯარისკაცი შემთხვევით რომ ნახავს ამას, დაიწყება დეზორგანიზაცია და არეულობის მარცვალი თავის როლს შეასრულებს. ოპოზიციაც ანალოგიურად იქცევა*

# „ცალსახაა, რომ სანქციები მუშაობს, მთავარია, არ შეჩერდეს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

რუსეთ-უკრაინის ომზე, საქართველოს მთავრობის პოზიციასა და ევროკავშირის როლზე საუბრობს „აჭარასთან“ სამართლის მაგისტრი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე **ზურაბ ცეცხლაძე**



**- დავიწყოთ რუსეთ-უკრაინის ომის შეფასებით, ლუგანსკის და დონბასის სახალხო რესპუბლიკებად აღიარებით - ამაზე რატომ არ შეჩერდა პუტინი, ნუთუ თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული, დაერტყა კიევისთვის?**

- ვიდრე რუსეთ-უკრაინის ომის შეფასებაზე გადავალთ, მინდა აღვნიშნო, რომ ისევე, როგორც მთელი ცივილიზებული სამყარო, ჩვენც ვგმობთ რუსეთის ყოვლად გაუმართლებელ და სისხლისმღვრელ ომს უკრაინელი ერისა და უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ. გულწრფელ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ მამაც ერს ყველაზე ბნელ და ვერაგ მტერთან ბრძოლაში და ვლოცულობთ უმოკლეს დროში მტერზე გამარჯვებისა და მშვიდობის დამყარებისათვის მთელ უკრაინაში.

როგორც მოგეხსენებათ, რუსეთი თავისი საოკუპაციო ძალებით უკრაინაში შეჭრას და ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებას უწოდებს რუსეთის მხრიდან სპეციალურ საბრძოლო ღონისძიებას, თუმცა მსოფლიო საზოგადოებამ მას სწორი სახელი დაარქვა, ეს არის რუსეთის მხრიდან არაპროვოცირებული შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, რომლის მიზანია უკრაინის კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი, საომარი მოქმედებებით დამხობა და მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხელყოფა, შესაბამისად, უკრაინისათვის ევროატლანტიკური და ზოგადად, ქვეყნის განვითარების პერსპექტივების მოსპობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დაზვერვის სამსახურები პირდაპირ აცხადებდნენ რუსეთის უკრაინაში შეჭრის საფრთხის შესახებ, და ამასთან, რუსეთის მხრიდან სწორედ ამ პერიოდში დიდძალი შეიარაღებისა და სამხედრო შენაერთების თავმოყრა უკრაინის საზღვართან, მიუთითებდა უკრაინაში შეჭრის უდავოობაზე. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა და მათ შორის, უკრაინის ხელისუფლებაც აცხადებდა, რომ ეს იყო რუსეთის მხრიდან მხოლოდ ძალის დემონსტრირება და უკრაინის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრის და სრული ოკუპაციის ნიშნები არ არსებობდა. მაქსიმუმ, მსოფლიო საზოგადოება ელოდა დონბასსა და ლუგანსკში რუსეთის ჯარის შესვლას, სეპარატისტული რეგიონების აღიარებას და მათი დაცვის მოტივით, მხოლოდ ამ ტერიტორიების ოკუპირებას. რატომღაც არავის ეგონა, რომ რუსეთი იმაზე მეტს მოინდომებდა უკრაინაში, ვიდრე მან მიაღწია საქართველოში 2008 წელს. აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ პუტინი მეტს გააკეთებდა უკრაინაში და ამის ყველა წინაპირობა არსებობდა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებისა და ზოგადად, რუსეთის სახელმწიფოს აგრესიულ და ვერაგ ბუნებას, რასაც ემატება სუსტი წინააღმდეგობა დასავლეთის სახელმწიფოებისა და ევროატლანტიკური სივრცის მხრიდან. ფაქტობრივად, რუსეთი სათანადოდ არ დასჯილა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისათვის. იყო რაღაც გარკვეული სუსტი სანქციები დასავლეთისა და ნატოს მხრიდან, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების დახმარება (თუნდაც სამხედრო) არ არის საკმარისი რუსეთის შესაჩერებლად, ამისთვის საჭიროა გრძელვადიანი ეკონომიკური სანქციების განხორციელება, ისეთის, როგორსაც ახორციელებს ახლა ევროკავშირი და ნატო. სწორედ დამანგრეველი სანქციები და სრული იზოლაციაა საჭირო იმისათვის, რომ რუსეთს არ გაუჩნდეს მეზობელი ტერიტორიების ოკუპაციის ბოროტი ზრახვები. ეკონომიკურად ძლიერი რუსეთი არის საშიშროება მთელი მსოფლიოსათვის, ვინაიდან, ტოტალიტარული ქვეყანაა და თან ბოროტების იმპერია, რომელიც ფიქრობს დღესაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არის მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა და იბრძვის მის აღსადგენად ისე, როგორც მას ხელეწიფება - ომითა და სისხლისღვრით.

**- ელოდა თუ არა პუტინი ასეთ წინააღმდეგობას?**

- რა თქმა უნდა, არ ელოდა, რაღაც ვერ გათვალეს, კერძოდ, რომ ეს უკრაინა აღარ არის 2014 წლის უკრაინა, რომელსაც ფაქტობრივად, უბრძოლველად წაართვა ყირიმის ნახევარკუნძული და შეუქმნა სეპარატისტული რეგიონები დონბასისა და ლუგანსკის სახით. ახლა უკრაინა გაცილებით ძლიერი, სტაბილური და მონოლითური სახელმწიფოა, ვიდრე მაშინ იყო, რომლის შეიარაღებაში, უკვე არის „სტინგერები“, „ჯაველინები“, „ბაირახტარები“ და სხვა თანამედროვე, ძლიერი სამხედრო ტექნიკა. უკრაინაში მაღალია ეროვნული თვითშეგნება, რასაც ემატება საკმაოდ მოქნილი და მამაცი ხელისუფლება, რომელიც ბოლომდე დგას ხალხთან. მებრძოლები მოტივირებული არიან სამშობლოს დასაცავად, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთის სამხედრო ნაწილებზე, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდანაც უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებიან. ერთ-ერთ გამოსვლაში უკრაინის პრეზიდენტმა ამ ომს სამამულო უწოდა, სადაც ერთ მუშტად შეკრული ერის დამარცხება შეუძლებელია.

**- კოლექტიური დასავლეთი საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა სანქციების დაწესებაზე. რამ იქონია გავლენა მათზე?**

- სანქციების დაწესების გარდა, ქვეყნებს შორის ყოველთვის არის აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ სანქციასთან დაკავშირებით. ყველა სახელმწიფო თავისი ინტერესების შესაბამისად განიხილავს ამ პროცესს და მიაჩნია, რომ სანქციების დაწესება უნდა მოხდეს აგრესიის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში. ვფიქრობ, ყველაზე მეტად იმ ფაქტმა იმოქმედა, რომ ამერიკის, ევროკავშირისა და ნატოს მუქარა სანქციების შესახებ, არაფრად ჩააგდო რუსეთმა. მან ჩათვალა, რომ ამჯერადაც საერთო აზრამდე ვერ ჩამოყალიბდებოდნენ ევროატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი, ან ეს სანქციები იქნებოდა საქართველოს მსგავსი, რასაც რუსეთი ადვილად გაუმკლავდა. ამას დაემატა ისიც, რომ აშკარა გახდა რუსეთის ზრახვები, უმთავრესი აქტორი იყოს მსოფლიო გადაწყვეტილებებში და ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს. ის აღარ მალავს თავის შორს მიმავალ გეგმებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავლენების აღდგენასთან დაკავშირებით, მიანიშნებს მსოფლიო საზოგადოებას, რომ ეს თუ ნებაყოფლობით არ მოხდება, მაშინ ამას ძალის გამოყენებით მიაღწევს, რა დროსაც არ გაითვალისწინებს არც საერთაშორისო სამართლის დარღვევას და არც არსებულ მსოფლიო წესრიგს.

**- არც აშშ ელოდა, რომ უკრაინა ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდა პუტინს, თუმცა მაინც ვერ დაეხმარა ცოცხალი ძალით და იარაღით. რა აკავებს?**

- ამერიკის დაზვერვა ამ საკითხთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ რუსეთი კიევს დაიკავებდა შეჭრიდან 96 საათის განმავლობაში, რაც აშკარად არ გამართლდა და რაც ცალსახად უკრაინის მამაცი დამცველების დამსახურებაა. იმდენად დიდი რაოდენობის სამხედრო შენაერთს და სამხედრო ტექნიკას მოუყარა თავი რუსეთმა უკრაინის საზღვრებთან, რომ ამის თქმის წინაპირობები ნამდვილად არსებობდა, თუმცა უკრაინამ შეძლო და ეს ომი აქცია სამამულო ომად, შესაბამისად, რუსეთმა ვერ აღასრულა თავისი განზრახვა, „ბლიცკრიგთან“ დაკავშირებით და უკრაინის მიერ გაძლებული ყოველი შემდგომი დღე რუსეთის საწინააღმდეგოდ იმუშავებს.

რაც შეეხება ცოცხალი ძალით დახმარებას, გამორიცხულია, ვინაიდან ეს იქნება წინაპირობა მსოფლიო ომის დასაწყებად. თუ დღეს საომარ მხარეებად ითვლება რუსეთი-უკრაინა, თუ სხვა სახელმწიფოები დაეხმარებიან ომში უკრაინას ცოცხალი ძალით, აღიქმება უკვე ომში მონაწილე მხარეთა მრავალმხრივობად, რაც მესამე მსოფლიო ომის ნიშნებს შეიძენს. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს საომარი მოქმედებების გავრცელებასაც სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. თუ ნატოს ქვეყნის ცოცხალი შეიარაღებული ძალები მიიღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ რუსეთის მოსაზღვრე ნატოს ქვეყნებიც უნდა ელოდნენ საპასუხო რეაქციებს რუსეთის მხრიდან. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ყველაზე რელევანტური იქნება, უკრაინას დაეხმარონ იარაღით, ენერგომატარებლებით, ფულით და ჰუმანიტარული მისიებით და, რა თქმა უნდა, რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული (საქმით განხორციელებული და არა დაპირებით) დამანგრეველი სანქციებით. უკრაინისათვის იარაღის მიწოდება შეიძლება არალეგალური გზებითაც ისე, რომ კონკრეტული სახელმწიფოები არ აფიშირებდნენ. ახლა მთავარია, უკრაინამ მიიღოს ქალაქის პირობებში ბრძოლისათვის საჭირო იარაღი, კონკრეტულად: ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღება.

**- რას ითვალისწინებს ევროკავშირის სანქციები და რამდენად აიძულებს პუტინს ეს შეზღუდვები, შეწყვიტოს ომი?**

- ევროკავშირის ლიდერები შეთანხმდნენ, რუსეთს დაუწესონ სანქციები, რომელსაც დიდი და მძიმე შედეგები მოჰყვება. 27-ვე წევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი სანქციების პაკეტს, რომელიც რუსეთის ფინანსური, ენერგო და სატრანსპორტო სექტორის წინააღმდეგ არის მიმართული. რუსეთს შეერთებულმა შტატებმაც მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რომელიც მიზნად ისახავს მისი ეკონომიკისა და ფინანსური ინსტიტუტების დაზარალებას, ამასთანავე, რუსეთის წვდომის შეზღუდვას ტექნოლოგიებზე. სანქციები შეეხება რუსეთის 10 ყველაზე მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტს, შეზღუდვები დაწესდება ექსპორტზეც, შედეგად, რუსეთს არ ექნება წვდომა მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე. სანქციები დაწესდება რუსეთის სიდიდით მეორე ბანკზეც, ასევე, გაიყინება მათი აქციები, აშშ-ის ფინანსურ სისტემას უკავშირდება. საუბარია რუსეთის სვიფტის სისტემიდან გათიშვაზე. სანქციები დაუწესდა პუტინის უახლოეს გარემოცვასა და მდიდარ რუსებს, რომლებიც ლონდონში ცხოვრობენ, გაიყინება რუსეთის მსხვილი ბანკების აქტივები და ამასთანავე, რუსულ კომპანიებს აეკრძალებათ დაფინანსების მოზიდვა ბრიტანეთში. პუტინს ომის შეწყვეტას აიძულებს ზემოაღნიშნული სანქციების სასწრაფოდ და რეალურად ამოქმედება. უნდა შეიქმნას უკრაინის მხარდამჭერი სახელმწიფოების დიდი კოალიცია, რომელიც დაუყოვნებლივ აამუშავებს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთზე ძლიერი ზეწოლა იქნება, თუ მას გათიშავენ სვიფტის სისტემიდან, რასაც რატომღაც არ ჩქარობენ ევროკავშირი და ნატო. ლოდინის დრო არ არის, ყველა სანქცია უნდა ამოქმედდეს დაუყოვნებლივ, დრო აღარ ითმენს. უნდა მოხდეს რუსეთის სრული იზოლაცია თავისუფალი სამყაროსაგან. ყველა მიმართულებით უნდა შეექმნას დისკომფორტი რუსეთის მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც მხარს უჭერს და ამართლებს რუსეთის შეჭრას სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე.

**- მსოფლიო ელოდება, რომ თავად რუსები დაამხობენ პუტინს, მაგრამ როგორც ჩანს, არც ეს არის სწრაფი პროცესი.**

- ვფიქრობ, ამის იმედი არ უნდა გვქონდეს. რამდენიმე წლის წინ, მან, ფაქტობრივად, დაუბრუნა რუსეთს ყირიმის ნახევარკუნძული, მოახდინა მისი ანექსია, რის გამოც იმდენი ბენეფიტი მიიღო, რომ ჯერ გახარჯულიც არა აქვს. არანაირი კვლევები არ მიუთითებს, რომ უკრაინაში ომის გაჩაღების გამო რუსეთის პრეზიდენტის შიდა რეიტინგი კატასტროფულად დაეცა, ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლების ყველა ორგანო იმართება პუტინის დიქტატით, ომის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ხარისხი ძალიან დაბალია. ყველაფერთან ერთად, მას არ ჰყავს ძლიერი და ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც უხელმძღვანელებს ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას და პროტესტს.

**- რას იტყვით საქართველოს მიერ ევროკავშირში სასწრაფო წესით განაცხადის შეტანაზე?**

- საქართველოს ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა შეიტანა ევროკავშირში განაცხადი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ეს განაცხადი უნდა შეეტანა 2024 წელს, უფრო მომზადებული, რეფორმების ჩატარებისა და უკვე გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ. თუმცა, დღეს მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია, შეიძლება კატალიზატორი გახდეს ევროკავშირისთვის, დაჩქარებული წესით მიიღონ ევროკავშირში საქართველოც. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა უკრაინის განცხადების განცალკევებულად განხილვა იქ არსებული საომარი მოქმედებების გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინისგან განსხვავებით, იგივე შედეგს ვერ მიიღებს საქართველო.

**- კიდევ რამდენი ხანი უნდა ელოდოს უკრაინა კანდიდატობას და თუკი მიიღეს კანდიდატად, რას მისცემს ეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში?**

- რა თქმა უნდა, მარტო ის ფაქტორი, რომ უკრაინა დღეს საომარ მოქმედებებშია, არ იქნება საკმარისი ევროკავშირში მისაღებად. იქ გაწევრიანება კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია. პირველ რიგში, განიხილება ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ამისთვის საჭიროა, რომ ქვეყანა შესაბამისობაში იყოს გარკვეულ კრიტერიუმებთან. ესენია: პოლიტიკური კრიტერიუმები - სტაბილურობა ინსტიტუტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების პატივისცემის დაცვის გარანტიებს; ეკონომიკური კრიტერიუმები - ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და ევროკავშირის საბაზრო ძალებთან კონკურენციისა და გამკლავების უნარი; ადმინისტრაციული და ინსტიტუციური კრიტერიუმი - ევროკავშირის კანონმდებლობის ეფექტიანი შესრულება და წევრობის ვალდებულებების აღების შესაძლებლობა. ევროპული კომისია აფასებს, უნდა მიენიჭოს თუ არა ქვეყანას კანდიდატის წოდება. ამ მოსაზრების საფუძველზე, ევროპული საბჭო წყვეტს კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს და იწყება მოლაპარაკებები სრულფასოვან წევრობაზე. კანდიდატის სტატუსი არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობის უფლების ავტომატურ მოპოვებას. ქვეყანამ უნდა გახადოს თავისი პოლიტიკური, სასამართლო სისტემა და ეკონომიკა ბლოკთან თავსებადი ევროკავშირის საერთო სამართლის სისტემის მიღებით. საბოლოოდ, ბლოკში მისაღებად ქვეყნის კანდიდატურა ერთხმად უნდა დაამტკიცოს ევროკავშირის თითოეულმა, 27-ვე წევრმა. ევროკავშირი არ არის სამხედრო ბლოკი და მასში გაწევრიანება არ ავალდებულებს სახელმწიფოებს გაუწიონ ერთმანეთს სამხედრო დახმარება სხვა ქვეყნიდან ინტერვენციის შემთხვევაში, ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ექნება პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. პოლიტიკური მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ ეს იქნება ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან არაორაზროვანი სიგნალი, რომ საომარი მოქმედებების მიუხედავად, ევროპა მთელი თავისი სტრუქტურებითა და ეკონომიკური შესაძლებლობებით გვერდში უდგას უკრაინას, მიიჩნევს მას ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად და მზად არის ყველა სახის ეკონომიკური დახმარება გაუწიოს. მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების მიმართულებითაც - რომ ევროპა იმ სანქციებით არ დაკმაყოფილდება და ახალ სანქციებსაც დაუწესებს რუსეთს საჭიროების შემთხვევაში.

*„ სწორედ დამანგრეველი სანქციები და სრული იზოლაციაა საჭირო იმისათვის, რომ რუსეთს არ გაუჩნდეს მეზობელი ტერიტორიების ოკუპაციის ბოროტი ზრახვები. ეკონომიკურად ძლიერი რუსეთი არის საშიშროება მთელი მსოფლიოსათვის, ვინაიდან ტოტალიტარული ქვეყანაა და თან ბოროტების იმპერია, რომელიც ფიქრობს დღესაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არის მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა და იბრძვის მის აღსადგენად ისე, როგორც მას ხელეწიფება - ომითა და სისხლისღვრით...*

იხ. მე-7 გვ.

# მენტორი მასწავლებელი, აკადემიური დოქტორი – ქიძინიძეებიდან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*აჭარის მთიანეთის პედაგოგებიდან ქიძინიძეების საჯარო სკოლის მასწავლებელი **რომან აბაშიძე** ერთადერთია, რომელსაც აკადემიური დოქტორის ხარისხი აქვს და მენტორის წოდებას ატარებს. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*



**- ბატონო რომან, წლებია, დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობთ. რამ განაპირობა, რომ დოქტორის ხარისხის მოპოვებაზე დაიწყეთ ფიქრი?**

- 1992 წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე. დავამთავრე 1997 წელს წარჩინებით. ლექტორები მეუბნებოდნენ, რომ გამაჩნდა მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ყველა საჭირო უნარი. შესაბამისად, ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული სტიმული. მეორეც ის, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა აინტერესებდეს, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი.

**- მთის სოფელში დარჩენა და მუშაობა რატომ გადაწყვიტეთ?**

- მამაჩემი წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად. ჩემი ძმები, რძლები მასწავლებლები არიან. ერთია ინტერესთა სფერო და მეორე - გარემო, რომელიც ამ ინტერესის განვითარებას უწყობს ხელს. ამასთან, ჩემი მთელი არსებობა სოფელთანაა დაკავშირებული, როგორც იტყვიან, ჩემი „მექა" სოფელია. ვფიქრობ, ადამიანი იქ უნდა ცხოვრობდეს, სადაც მეტ სულიერ შვებას ნახულობს. ამასთან, აცნობიერებ, რომ შეგიძლია შენი გამოცდილების, ინტელექტუალური შესაძლებლობების ნაწილი გადასცე შენი სოფლის მოსწავლეებს, სწორი გზის პოვნასა და საკუთარი თავის რეალიზაციაში დაეხმარო... ეს არანაკლებ საპასუხისმგებლო მისიაა.

**- რა იყო თქვენი სადისერტაციო ნაშრომის თემა?**

- ეს იყო „სასკოლო განათლების სისტემის ფორმირება აჭარაში 1878-1921 წწ". ნათლად დავინახე მოცემული პერიოდისთვის ჩემი კუთხის სასკოლო განათლების ისტორიის ძალიან ბევრი წვრილმანი. სიღრმისეულად დავინახე, თუ რა შეუძლია სწორ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ განათლების სისტემას ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისათვის იმ პირობებშიც კი, როცა რელიგიური ფაქტორები, უცხო ქვეყნის ინტერესები მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის შენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

**- ახალბედა მეცნიერები გზამკვლევის როლსა და თანადგომას ყოველთვის აფასებენ...**

- 1999 წელს ჩავირიცხე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფესორი გიორგი კვანტალიანი. როგორც მამა პატრონობს საკუთარ შვილს, ასე დამიდგა გვერდით ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდას. ეს ადამიანი იყო ჰუმანისტი, ნამდვილი ინტელიგენტი და ჩემთვის მუდმივი სტიმულის მომცემი. 2003 წელს სადისერტაციო ნაშრომმა წარმატებით გაიარა აპრობაცია, ველოდებოდით უახლოეს მომავალში დისერტაციის დაცვის დღეს, როცა სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. ვერ მოესწრო საკუთარი დისერტანტის აკადემიურ ხარისხს. ჩემს ხსოვნაში მისი ღვაწლი და ადამიანური სახე არ გაფერმკრთალებულა დღესაც.

**- სწავლაში, მეცნიერულ მოღვაწეობაში დახარჯული დრო და ენერგია წლების შემდგომ ჰპოვებს გამოძახილს...**

- პოლიტიკისგან ყოველთვის შორს ვიდექი და შორს ვდგავარ დღესაც. რეალობა ადასტურებს, რომ არცერთ ხელისუფალს ისე არ უზრუნია პედაგოგის შრომის დაფასებაზე, როგორც ამჟამინდელს. მასწავლებელს საქართველოში თავის ქვეყანაზე უკეთ არასდროს უცხოვრია და ღირსეულად ამართლებდა საკუთარ სოციალურ სტატუსს. კარგი მასწავლებლის ღვაწლი ფასდაუდებელია. მე კმაყოფილი ვარ ჩემი ანაზღაურებით. როგორც იტყვიან, ვყოფნი ჯამაგირს და უფლის მადლობელი ვარ.

**- მთის სოფლები ცარიელდება. გამონაკლისი არც ქიძინიძეებია. მოსწავლეთა კონტინგენტიც მცირდება. სხვა სკოლას აირჩევთ თუ უმაღლეს სასწავლებელს?**

- უახლოეს მომავალში სკოლის არსებობას საფრთხე არ ემუქრება. ვფიქრობ, დღეს იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. დრო მიჩვენებს, როგორ მოვიქცე, მით უმეტეს მშობლიურ სკოლაში მუშაობის პარალელურად, ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში ვარ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

**- შვილებს რას ურჩევთ?**

- მეცნიერული მწვერვალებისკენ სვლას. ეს სფერო ადამიანს ყველაზე მეტად აძლევს საშუალებას, დარჩეს ადამიანად და საზოგადოების დემოკრატიულ გარდაქმნაზეც მოახდინოს სერიოზული გავლენა.

**- საკმაო პედაგოგიური პრაქტიკა დაგიგროვდათ. თუ გაიხსენებთ გზასაცდენილ აღსაზრდელს, რომელიც საზოგადოებას დაუბრუნეთ?**

- მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება. თუმცა არის მომენტი, როცა საჭიროა მოსწავლის ქცევაში გარკვეული კორექცია შეიტანო.

**- მენტორის წოდების მოპოვება იყო იოლი თუ აკადემიური დოქტორის ხარისხისა?**

- არც ერთია მარტივი და არც მეორე.

**- დასახული მიზნის მისაღწევად რაა მთავარი?**

- ნიჭი, ცნობისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, შრომა. აინშტაინს მინდა დავესესხო: „მე არ გამაჩნია არანაირი გამორჩეული ნიჭი (ალბათ, თავი დაიფასა), ვარ ცნობისმოყვარე, მაქვს ვირის სიჯიუტე და მიყვარს შრომა".

**- პესიმისტი ხართ თუ ოპტიმისტი?**

- წარმატებულ მომავალზე ფიქრი ოპტიმიზმის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება ხანდახან სევდისფერია და ამქვეყნიური ამაოების განცდა ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთში დროებით მაინც გაგიჩენს პესიმიზმის მსგავს გრძნობას. ეს ბუნებრივ პროცესად მიმაჩნია. არც მე ვარ გამონაკლისი, თუმცა ცხოვრებისეული მიზნები პესიმიზმისთვის ნაკლებ დროს მიტოვებს.

**- კურიოზი...**

- ერთს გავიხსენებ: პირველ კლასში მოსწავლეთა ცოდნის დონეს ვარკვევ მათემატიკაში, რათა ამის მიხედვით წარვმართო მუშაობა. ის მოსწავლე ჩემი ახლობელია. ვეკითხები, „აბა, რამდენია, სამს მივუმატოთ ორი?". ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს არ ვიცოდი და დახმარებას მას ვთხოვდი. მიყურებს გაოცებული და მეუბნება: „მასწავლებელო, სამს მიმატებული ორი თუ არ იცი რამდენია, სკოლაში რა გინდა მასწავლებლად?".

**- სხალთის ხეობაში გამონახეთ გულისსწორი. მარეთელი და სხალთელი ერთმანეთს რა ვითარებაში გაეცანით?**

- სხალთა-ხიხაძირის ხეობა ოდითგანვე განთქმული იყო უძველესი ქართული ტრადიციებით. ჩემმა უფროსმა ძმამ არჩევანი ამ ხეობის მკვიდრზე, კვატიაში მცხოვრებ ქალიშვილზე გააკეთა. კარგი ოჯახი შექმნეს. ჩემი მეუღლეც უფროსი რძლის ნათესავია. მართალია, თავდაპირველად რაღაც განსაკუთრებული რომანტიკული ურთიერთობა არ გვქონია, ისე დავქორწინდით, მაგრამ დღეს სამაგალითო ოჯახი გვყავს, კმაყოფილი ვართ ერთმანეთით და სამ შვილს ვუზრდით ქვეყანას.

**- რაა მთავარი ოჯახის სიმტკიცისთვის?**

- სიყვარული და ალბათ, მეტი უნარი იმისა, რომ მეუღლე მიიღო ისეთი, როგორიც რეალობაშია.

**- წიგნზე მუშაობთ. რაა მისი დედაარსი?**

- სკოლა და პედაგოგიკა, აღმზრდელი და აღსაზრდელი.

**- მართლმადიდებლობასთან ზიარებული, აღსარებას ვის აბარებთ?**

- წლების წინ დავუბრუნდი ჩვენს ძირძველ სარწმუნოებას. პატრიარქი იყო ჩამობრძანებული ხულოში და იქ მოვინათლე. ვფიქრობ, ნებისმიერი სოციალური სტატუსი, რეგალია მუხლს იდრეკს ჭეშმარიტი ადამიანობის წინაშე, ეს რეგალიები ჩემთვის საშუალებაა, უკეთესად შევასრულო ჩემი ადამიანური მისია. აღსარებასაც სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებს ვაბარებ.

**- ორგულს და მატყუარას თუ ჰგუობთ?**

- არა და, არა მხოლოდ მათ, ნებისმიერი არაადამიანური ქცევა ჩემთვის მიუღებელია. მით უმეტეს, მოჩვენებითობა დროებითია და ვინ როგორ ნიღაბს ირგებს, მალე გაცხადდება.

**- მასწავლებელი, რომლის როლს გამორჩეულად აფასებთ.**

- ბევრზე შეიძლება საუბარი. მაგრამ მაინც, სკოლაში როზა მუკუტაძეს დავასახელებდი, უნივერსიტეტში, ჩემი პროფესიის მიმართულებით - ნოდარ ბასილაძეს, იური ბიბილეიშვილს.

**- პატრიარქი ჭეშმარიტ მართმადიდებლებს მოუწოდებს, ყოველწლიურად 10-12 ძირი ხე დარგონ.**

- სოფლის ცხოვრებაში აქტიურად ვარ ჩართული. ვცდილობ, პატრიარქის ეს მოწოდება აქტიურად შევასრულო.

**- დახმარების ხელს ვის თხოვდით?**

- ალბათ იმას, ვინც მეიმედება და მზადაა, უანგაროდ დამიდგეს გვერდით.

**- თუ გადაგირჩენიათ განსაცდელში მყოფი?**

- საკუთარ თავზე აღმატებული ხარისხით საუბარი არ მჩვევია. ჩემს ცხოვრებაშიც იყვნენ ალბათ, ადამიანები, რომლებისთვისაც განსაცდელის ჟამს სწორი გზა მიჩვენებია. კონკრეტული მაგალითების დასახელებისგან კი თავს შევიკავებდი.

**- როდის ხართ ბედნიერი?**

- როცა მშვიდობაა, როცა ჩემ ირგვლივ ბევრ ბედნიერ ადამიანს ვხედავ, როცა უკეთესად ვახდენ საკუთარი თავის რეალიზებას...

**- წელიწადის რომელი დრო გიყვართ?**

- გაზაფხული.

**- რა ალამაზებს ადამიანს?**

- თავმდაბლობა.

**- როგორც ვიცი, ფეხბურთი ისევ გიტაცებთ...**

- ფეხბურთი ჩემთვის სპორტის უსაყვარლესი სახეობაა. წლების განმავლობაში თავადაც ვთამაშობდი და არცთუ ისე ცუდად. ამჟამად უფრო გულშემატკივრობით შემოვიფარგლები.

**- გაზაფხულის დღესასწაულებს ვის ულოცავთ?**

- მარტი, თავისი ჭირვეულობის მიუხედავად, რამდენიმე დღესასწაულს აერთიანებს. უპირველესად, დედის დღეს საკუთარ მეუღლეს ვულოცავ (დედაჩემი 2003 წელს გარდაიცვალა, თორემ ის იქნებოდა ჩემი მილოცვის პირველი ადრესატი).

**- დედის შემდეგ ვინ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში?**

- დედა შეუცვლელია, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც გარკვეულწილად იკავებენ ამ ადგილს. თამამად დავასახელებ დეიდაჩემს - ნათელა მიქელაძეს, რომელსაც დედის სურნელი ასდის.

**- სკოლა, უნივერსიტეტი, საზოგადოება, თანასოფლელები თანადგომას არ გაკლებენ. თქვენ რითი უხდით სამაგიეროს?**

- სოფელ ქიძინიძეებში მეგობრული, იუმორით დახუნძლული ატმოსფერო რომ არ იყოს, ვერ შევძლებდი აქ გაჩერებას. სოფელი მხოლოდ გეოგრაფიული მოცემულობა არ არის, ხალხია უპირველესად, მნიშვნელოვანი. ჩემი პიროვნების ძალიან ბევრი თვისება სწორედ აქ მცხოვრებ მოსახლეობას უკავშირდება. მაქსიმალურად ვცდილობ, მათ გვერდით ვიდგე ჭირსა თუ ლხინში.

**- რა თემაზე კითხულობთ ლექციებს ხიჭაურის უნივერსიტეტში?**

- 2011 წელს, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის (მადლობა მინდა გადავუხადო) ლოცვა-კურთხევით დავიწყე მუშაობა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში ლექციების კურსს ვკითხულობ: „განათლების ფსიქოლოგიაში", „სწავლებისა და შეფასების ინოვაციურ მეთოდებში", „სასწავლო და პროფესიულ გარემოში".

# გმირების დედებს მიულოცეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***1993** წლის სექტემბერში, სოხუმის დაცემის დღეებში, უგზო-უკვლოდ დაიკარგა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების მკვიდრი ფრიდონ ავთანდილის ძე მახარაძე. **2008** წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა ბარათაულელი ამირან მამალაძე და ბუთურაულელი იაგო მიქელაძე იმსხვერპლა*

სამშობლოს გაერთიანების და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცებს შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პატივს მიაგებს. მათ უკვდავსაყოფად მემორიალები გაკეთდა ხიჭაურში, ზამლეთსა და ნაჭივრზე. საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც გმირები სწავლობდნენ, მათ სახელს ატარებს.

შვილების დაკარგვის დღიდან ძაძებით შეიმოსნენ მახალაკიძეებელი გულიკო მახარაძე, ბარათაულელი მარინა მიქელაძე-მამალაძე, ბუთურაულელი ეთერ დავითაძე-მიქელაძე. მათ შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა თანადგომას, მოფერებას არ აკლებს. წელსაც მათ სოფლებში ეწვივნენ, დედისა და ქალთა დღე მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

- შვილის დაკარგვა უდიდესი ტრაგედიაა. ნუგეშად ის მრჩება, რომ იგი მხდალი და ლაჩარი არ იყო, მან საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას შესწირა. კოდორის ხეობაში მძიმედ დაჭრილი თხუთმეტი დღის განმავლობაში სიცოცხლეს ებრძოდა, მაგრამ... მისმა დაკარგვამ მეუღლესაც ჯანმრთელობა შეურყია. შარშან ისიც მიწამ მიიბარა. ნუგეშად კიდევ ორი შვილი და სამშობლო მრჩება, - გვითხრა ბუთურაულელმა ეთერ დავითაძე-მიქელაძემ.

აგვისტოს ომის გმირების დედებს გაზაფხულის დღესასწაულები ქედასა და ხულოშიც მიულოცეს.



# ლაშა ბაქუნაიშვილი: დასავლეთმა თავისი შესაძლებლობის დიდი ნაწილი უკვე გამოიყენა და მას კიდევ აქვს არსენალში გარკვეული ბერკეტები

მე-3 გვერდიდან

**- აშკარად ვხედავთ, რომ მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პუტინი სამაგალითოდ დაისჯება, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა კი პუტინს გეოპოლიტიკური ხულიგანი უწოდა. რას ფიქრობთ?**

- ცივილიზებულ სამყაროს და დასავლეთის მსგავსი ერთობა, ასეთი ტოტალური სანქციები და გარიყვის პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს, მათ შორის ცივი ომის პერიოდშიც კი. მართალია, მსგავსი მასშტაბები ბიპოლარულ სამყაროში ვერ იქნებოდა, იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ სსრკ დღევანდელი რუსეთისგან განსხვავებით არ იყო ინტეგრირებული თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ და საინვესტიციო სისტემებში, მაგრამ დღევანდელი მასშტაბები გაცილებით დიდია და მასში არა მხოლოდ სამთავრობო ინსტიტუტები, არამედ კერძო კაპიტალი, სპორტული და კულტურული დაწესებულებებიც ჩაერთნენ.

**- სხვათა შორის, ელცინის დროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კოზირევმა ასეთი რამ თქვა: ვშიშობ, რუსეთიც საბჭოთა კავშირივით დაასრულებსო....**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რუსეთის მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გზას აირჩევს. უკრაინაში ხანგრძლივ საომარ მდგომარეობაში დარჩენას პერსპექტივა, ფაქტობრვად, არ აქვს. ამით რუსეთი გამოიფიტება და იგივე ბედს გაიზიარებს, რაც სსრკ-მა 1991 წელს. თუკი რუსეთმა კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი დაკარგა, გამორიცხული არ არის, 1990-იან წლების ჩეჩნეთის მსგავსად ცენტრიდანული მოძრაობა დაიწყოს.

**- როგორც გაცხადდა, ჰააგის ტრიბუნალმა უკრაინაში რუსეთის სამხედრო დანაშაულის გამოძიება დაიწყო, ახალი ნიურნბერგის პროცესის მომსწრენი გავხდებით?**

- ნიურნბერგის პროცესი ცოტა გადაჭარბებული მოლოდინია, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ აუცილებლად გაიმართება საერთაშორისო სასამართლო პროცესები ჰააგასა და სტრასბურგში, რადგან ამ ქვეყანამ აგრესიული ომის გაჩაღებით, ასევე საომარ ოპერაციებში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა დაარღვია.

**- აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევამ. რა გავლენა ექნება საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე ამ ყველაფერს?**

- ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლების, განსაკუთრებით პრემიერის და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების პოზიცია ამბივალენტურია... ომში მყოფი მოკავშირის მიმართ არ აქვთ მკაფიო და ქმედითი მხარდაჭერის სტრატეგია და ნაბიჯები. მათი განცხადებები მიუღებელია და საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ საქართველო კრემლის მიმართ დაშოშმინების პოლიტიკას ატარებს, რაც აზიანებს ეროვნულ ინტერესებს და ქვეყანას გარკვეული საფრთხეების წინაშე აყენებს. მმართველმა პარტიამ უკრაინასთან სტრატეგიული ურთიერთობები შიდაპოლიტიკაში მმართველი პარტიისა და „ნაციონალური მოძრაობის" ოპონირებას, თავის დროზე უკრაინაში მყოფი მესამე პრეზიდენტის და მისი პარტიის ანგარიშსწორების ვიწროპარტიულ ინტერესებს გადააყოლა, რაც გაუმართლებელია. ომის დროსაც კი უმრავლესობის წარმომადგენლები არ მოერიდნენ, პერსონალურად გაეკრიტიკებინათ უკრაინის პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა იმის გამო, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები თავს უკრაინას აფარებდნენ. უკრაინაში გასამგზავრებელი ქართველი მოხალისეებისთვის ჩარტერული რეისის მიღება-გასტუმრებაზე უარმა, ახლა კი რუსეთისთვის რძის, ღვინის და რძის პროდუქტების ბაზრის გახსნამ კიევის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. ამიტომ უკრაინის მხარეს უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა, გაეწვია ელჩი, ვიდრე ქართულ მხარეს, როდესაც რამდენიმე თვის განმავლობაში უკრაინიდან საქართველოს ელჩი გაწვეული იყო. პრემიერის და უმრავლესობისგან განსხვავებით, პრეზიდენტი უფრო მობილიზებული და მკაფიოა. ის იზიარებს საზოგადოების უმრავლესობის პოზიციას და მათ მხარდაჭერას უცხადებს (მიუხედავად წარსულში მისი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ სახელმწიფოს საზიანო განცხადებებისა, რომელიც, იმედს ვიტოვებ, ვიწროპარტიული მერკანტილიზმით იყო მოტივირებული). რაც შეეხება საფრთხეებს, უკრაინის მხარდაჭერით ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყნები კვლავ რჩებიან სტრატეგიულ მოკავშირეებად და მოძმე ქვეყნებად და ეს ურთიერთობები მხოლოდ ამჟამინდელი მთავრობის უკუღმართობით არ განისაზღვრება.

**- დასასრულ კვლავ აშშ-ის პრეზიდენტს დავუბრუნდეთ. ბაიდენმა ისიც აღნიშნა, რომ უკრაინის ომი რუსეთს დაასუსტებს, ხოლო მსოფლიო უფრო გაძლიერდება.**

- ვფიქრობ, ბაიდენი უფრო რეალისტურად აფასებს ვითარებას და დარწმუნებულია, რომ ასეთი ძლიერი საერთაშორისო წნეხის, ეკონომიკური სანქციებისა და ომში წარუმატებლობის ფონზე, რთულია რუსეთი გამარჯვებული ან წარმატებული გამოვიდეს. ათწლეულების განმავლობში ის განწირული იქნება ბრძოლისთვის, აღმოფხვრას პრობლემები და, მინიმუმ, ომამდელ დონეს მიაღწიოს.

# „ქართველებო, თქვენ არაჩვეულებრივები ხართ, აღფრთოვანებული ვარ უკრაინის მხარდაჭერის დონით"

უკრაინის საელჩო საქართველოში მადლობას უხდის საქართველოს ასეთ რთულ დროს უკრაინის მხარდაჭერისთვის, - ამის შესახებ უკრაინის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა საქართველოში ანდრეი კასიანოვმა ბრიფინგზე ჰუმანიტარულ დახმარებაზე საუბრისას განაცხადა.

„ჩვენ ძალიან მადლობლები ვართ პოლონეთის, მეგობრების ასეთი სოლიდარობისა და მხარდაჭერისთვის და ამას არასდროს არ დავივიწყებთ. საქართველო ასევე გვიდგას გვერდში ამ საკითხში. 6 მარტს უკრაინაში გაიგზავნა თვითმფრინავი ჰუმანიტარული დახმარებით, სამედიცინო აღჭურვილობა - 40 ტონა, მედიკამენტები, სურსათი, ტანსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები და ყველაფერი, რასაც ძალიან საჭიროებს ახლა უკრაინის მოსახლეობა. ეს არის ძალიან დროული და მნიშვნელოვანი დახმარება. უკრაინის საელჩო საქართველოში გამოთქვამს მადლიერებას, პირველ რიგში, საქართველოში ყველა უკრაინელის მიმართ, ასევე მადლობას უხდის საქართველოს მოქალაქეებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინის მხარდაჭერისთვის უკრაინისთვის ასეთ რთულ დროს", - განაცხადა ანდრეი კასიანოვმა.

ის ბრიფინგზე რუსეთის მიერ საქართველოსთვის რძის პროდუქტების ბაზრის გახსნას გამოეხმაურა: „რაც შეეხება ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებს, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ მომენტს: მასმედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების გაუქმებასთან დაკავშირებით. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოახდინა შესაბამისი რეაგირება საკუთარ განცხადებაში ამ ინფორმაციაზე, ვაგრძელებთ კონსულტაციებს ჩვენს ქართველ პარტნიორებთან ერთად და მადლობლები ვართ იმ განმარტებების, რომლებიც გასცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ბატონმა ლევან დავითაშვილმა. მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ ნებისმიერი სპეკულაციისგან და ხაზს ვუსვამთ რუსულ კომპანიებთან ბიზნესის წარმოების დაუშვებლობას, რაც რუსეთს დამატებით რესურსებს აძლევს უკრაინის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომის გასაგრძელებლად, მიღებული მოგება კი მოკლული უკრაინელების სისხლით არის გაჟღენთილი, - განაცხადა ანდრეი კასიანოვმა, - მინდა მივმართო საქართველოს ყველა მოქალაქეს: ქართველებო, თქვენ არაჩვეულებრივები ხართ, აღფრთოვანებული ვარ უკრაინის მხარდაჭერის დონით, უსაზღვროა ჰუმანიტარული დახმარება, მიტინგები უკრაინის მხარდასაჭერად, საქართველოს ტერიტორიაზე, თქვენთან, თქვენს ოჯახებში უკრაინის მოქალაქეების დაბინავებასთან დაკავშირებული წინადადებები, ყველა ქუჩა, ხიდები უკრაინის დროშის ფერებშია, ჩვენ - უკრაინელები ვგრძნობთ, რომ თქვენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხართ და უკრაინასთან ერთად მზად ხართ, იბრძოლოთ თქვენი დამოუკიდებლობისთვის, დემოკრატიისა და თქვენი თავისუფალი არჩევანისთვის", - განაცხადა ანდრეი კასიანოვმა.

**ამირან გურიელიძე**

# „ცალსახაა, რომ სანქციები მუშაობს, მთავარია, არ შეჩერდეს"

მე-5 გვერდიდან

**- როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის სიფრთხილეს, რომელსაც ოპოზიცია სიმხდალედ მიიჩნევს?**

- მოცემულ უმძიმეს სიტუაციაში, საქართველოს სიფრთხილეს დადებითად ვაფასებ. მეტსაც გეტყვით, ამას სიფრთხილეზე მეტად, მთავრობის მხრიდან გონიერი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება ჰქვია. დიდი ხანია არ მსმენია საქართველოს მთავრობებისაგან, რომ ეროვნული ინტერესები სხვა მერკანტილურ ინტერესებზე წინ დაეყენებინოს. ემოციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებამ შეიძლება სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. ახლაა ყველაზე მეტად საჭირო სწორი გათვლების გაკეთება, რითაც არ მივცემთ საბაბს შინაურ და გარეშე მტრებს, ნორმალური განვითარების რელსებიდან გადაიყვანოს ჩვენი ქვეყანა. საქართველოს, როგორც არასდროს, სჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება. რუსეთ-უკრაინის ომში ჩათრევა ქვეყანას აშკარად დაანგრევს, რაც ხელისუფლების სწორი გადაწყვეტილებებით თავიდან უნდა ავიცილოთ. რა თქმა უნდა, ვიაზრებთ, რომ მთელი ევროპის და მათ შორის, საქართველოს ბედიც, დღეს უკრაინაში წყდება, ამ ომში უკრაინის გამარჯვებამ მთელი ევროპა უნდა იხსნას რუსეთიდან მომავალი საფრთხეებისგან, შესაბამისად, ჩენი სოლიდარობა და თანაგრძნობა უკრაინის მხარესაა და მზად ვართ მსოფლიოს ნებისმიერ პლატფორმაზე პოლიტიკური მხარდაჭერა გამოვუცხადოთ, რაც გულისხმობს ევროსაბჭოსა და გაეროში უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის ხმის მიცემას, ასევე ჰუმანიტარულ დახმარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. კატეგორიულად არ ვეთანხმები საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ფორმით მონაწილეობას, მოხალისეთა მობილიზებასა და საომრად უკრაინაში გაგზავნას. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის საომარ მხარედ გამოცხადების ტოლფასი, რაც არ უნდა დაუშვას ხელისუფლებამ. არც ევროპასა და მსოფლიოს სჭირდება დღეს კიდევ ერთი კონფლიქტის კერა, სადაც საჭირო იქნება მთელი ძალისხმევის მობილიზება მხარდაჭერის თვალსაზრისით.

**- რაში ხედავთ გამოსავალს, პუტინმა ბირთვული ტრიადა აამოქმედა?**

- ვფიქრობ, ამის რეალური საფრთხე არ არსებობს და ეს უფრო შანტაჟისა და მუქარისათვის ესაჭიროება. თანაც, ნატოს მხრიდან მკაფიო განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ არ ჩაერევა სამხედრო ძალით კონფლიქტში, ანეიტრალებს ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროებას. ამიტომაც იყო, რომ წამყვანმა ქვეყნებმა პუტინის მუქარა ბირთვული არსენალის მზადყოფნაში მოყვანასთან დაკავშირებით, რეალურ საფრთხედ არ მიიჩნია.

**- რა პოზიცია უნდა დაიჭიროს საქართველომ ამ ურთულეს პერიოდში?**

- მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას და სახელმწიფოს აბსოლუტურად სწორი პოზიცია უჭირავს. ვგულისხმობ, უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერას მსოფლიოს ყველა პლატფორმაზე, საქართველოს პარლამენტის მიერ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებას (ამ საკითხის კომენტირებისას ამერიკის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა დასაფასებელი უწოდა საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერას და მკაფიო პოზიციის გამოხატვას გაეროსა და ევროპის საბჭოში) და მასშტაბური ჰუმანიტარული დახმარებების გაწევას უკრაინის მოსახლეობისთვის. აღსანიშნავია, საომარი მოქმედებების გამო უკრაინის საქართველოში ჩარჩენილი მოქალაქეებისათვის საცხოვრებლითა და საკვებით უზრუნველყოფის პროგრამების ამოქმედება, ასევე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რაც მიმართულია უკრაინისა და უკრაინელების დასახმარებლად.

**- როგორ შეაფასებთ ოპოზიციის პოზიციას?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ხელისუფლება, ოპოზიცია და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (მცირე გამონაკლისის გარდა) ერთიანია უკრაინის მხარდაჭერის საკითხში, აქ სადავოა მხოლოდ ფორმები, თუ როგორ და რა ხარისხით უნდა დავუჭიროთ მხარი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ უკრაინისათვის მხარდაჭერის მთავარი ხაზი გადის ოკუპანტი რუსეთის კრიტიკის ქარცეცხლში გატარებასა და მისთვის ოკუპანტისა და დამპყრობლის ძახილში, ხელისუფლებას კი სწორი პოზიცია უჭირავს, როცა პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს საერთაშორისო ასპარეზზე და ფართომასშტაბიან ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნის უკრაინის სახელმწიფოს. საქართველოს მოსახლეობა თავისუფლად გამოხატავს უკრაინის მხარდაჭერას მიტინგებსა და მანიფესტაციებზე. ამ ყველაფერში უადგილოდ მიგვაჩნია ოპოზიციის მცდელობა, შიდაპოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს არსებული სიტუაცია და გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს ვიწრო პარტიული ინტერესების სასარგებლოდ. ცივილიზებული სამყაროს მომავალი დღეს უკრაინაზე გადის და თუ როგორ დასრულდება საომარი მოქმედებები, ამაზე იქნება დამოკიდებული, როგორ მსოფლიოში ვიცხოვრებთ - რუსეთის შანტაჟისა და მუქარის ქვეშ თუ დემოკრატიულ და თავისუფალ საზოგადოებაში. პუტინსა და რუსეთს აშკარად ეშინია საერთაშორისო სანქციებით დამდგარი ზიანის, ამიტომ მან თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სანქციების დაწესება გაუტოლა რუსეთისათვის ომის გამოცხადებას. სანქციები მუშაობს, მთავარია, არ შეჩერდეს და იგი მაქსიმალურად მტკივნეული იყოს. აგრესორის საერთაშორისო იზოლაციით მიიღწევა უკრაინაში ომის წარმატებით დასრულება, რისი თანმდევიც უნდა იყოს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ყირიმის დაბრუნება, ეს პრეცედენტი კი მომავალში საქართველოსა და მოლდოვაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი გახდება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/03/22, 20[25] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# მანუჩარ შერვაშიძე ბათუმის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ეზოში დაკრძალეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



*დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სახალხო არტისტ მანუჩარ შერვაშიძეს ქართული კინოსა და თეატრის წინაშე. მის მიერ შესრულებული სახეები ქართული ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მშობლიური თეატრის წინ გახსნილია მისი სახელობის ვარსკვლავი, მინიჭებული აქვს დიდასკალოსის საპატიო წოდება...*

5 მარტს საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა დიდი მსახიობი - ძველი თაობის ბათუმელთა წარმომადგენელი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბოლო წუთამდე თეატრში მოღვაწეობდა. მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (ქალბატონი ნინო საკანდელიძე გასული წლის აგვისტოში გარდაიცვალა) სახლიდან თითქმის აღარ გამოსულა.

მანუჩარ შერვაშიძე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრიდან გამოასვენეს. მხცოვანი მსახიობი უკანასკნელი გზაზე ტაშით გააცილეს. რამდენიმე წუთით ადრე სცენიდან მსახიობმა ავთო ქარჩავამ შეკრებილთ კიდევ ერთხელ შეახსენა ბატონი მანუჩარისა და მისი მეუღლის, საქართველოს სახალხო არტისტის ნინო საკანდელიძის დიდი ღვაწლი და ნაყოფიერი შემოქმედება.

გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვეს მეგობრებმა, ახლობლებმა.

**რევაზ შერვაშიძე, შერვაშიძეთა საგვარეულოს წინამძღოლი:**

- დღეს ვეთხოვებით ჩვენი საგვარეულოს ღირსეულ წარმომადგენელს. ხშირად გვქონდა მასთან ურთიერთობა. ნინო საკანდელიძისა და მანუჩარ შერვაშიძის ოჯახი ალამაზებდა ბათუმს. დიდია მათი ღვაწლი აჭარის, ბათუმის, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

**ბელა ქებურია, პოეტი:**

- დღეს სხვა სიტუაცია უნდა ყოფილიყო აქ, ჩემზე ბევრად უფრო დიდ ადამიანებს უნდა ეთქვათ სიტყვა. ბატონი მანუჩარი ამას იმსახურებდა, იმიტომ, რომ ადამიანი ერთხელ მოდიხარ ამ ქვეყანაზე და მიდიხარ სამუდამოდ. უზომოდ მიყვარდა. ის უფრო იყო ჩვენი მეგობარი, ვიდრე ჩვენ - მისი. როგორ ბრწყინავდა ცოლ-ქმარი ამ სცენაზე, როგორი შარმი ჰქონდათ... თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ბატონი მანუჩარი ქალაქის, ერის დიდებაა. პანდემიამ ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ დადგება დრო, როცა ნინო საკანდელიძისა და მანუჩარ შერვაშიძის ხსოვნას დამსახურებულად მივაგებთ პატივს.

**თენგიზ თავდგირიძე, აჭარის ჩოხოსანთა თავკაცი:**

- დანაკლისი დიდია. ნებისმიერი ქალაქი, გვარი იამაყებდა ასეთი ოჯახით - საქართველოს ორი სახალხო არტისტი. მათ დიდი კვალი დატოვეს. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს.

**მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:**

- დღეს დრამატული თეატრის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი გვერდი გადაიფურცლა. ეს ის ფურცელია, რომელიც ამ თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებით დაიწერება. ბატონ მანუჩართან ერთად, კიდევ ერთხელ გამოვემშვიდობეთ ქალბატონ ნინოს, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ბატონი მანუჩარის გული გაჩერდა მაშინ, როცა მისმა მეუღლემ დატოვა ეს საწუთრო. მინდა, ერთხელ კიდევ მივუსამძიმრო ოჯახს, თეატრის თითოეულ მსახიობს, საზოგადოებას, მაყურებელს ეს უდიდესი დანაკლისი. ბატონი მანუჩარის როლები თაობებს ახსოვს და ემახსოვრება.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- მანუჩარ შერვაშიძე მართლაც სახალხო, საზოგადო კაცი იყო, ამ ქალაქის ერთი დიდი მემატიანე, რომლის მნიშვნელოვანი ფურცელი იხურება. იხურება მისთვის, მაგრამ ფართოდ იხსნება მომავალი თაობისთვის. მადლობა მას, რომ ჩვენ შორის იყო... მიხარია, რომ სიკვდილის წინ მეც და ქალბატონმა მაია ხაჯიშვილმა მოვასწარით მასთან შეხვედრა, მოფერება. ნინოს აღარ შეეძლო, მაგრამ სახლიდან მოგვეფერა...

**თამილა მეიშვილი, დამსახურებული არტისტი:**

- წავიდა თეატრის ბოლო მოჰიკანი, რომელსაც ჰქონდა დიდი შინაგანი კულტურა, ოსტატობა, იყო ნამდვილი, ჭეშმარიტი, სახალხო არტისტი. ის მანამდეც იყო ხალხის არტისტი, სანამ ამ ტიტულს მიანიჭებდნენ. მას ცნობდნენ და უყვარდათ არა მარტო ბათუმში, არამედ დედაქალაქშიც. ორივე - ცოლ-ქმარი თბილისიდან იყო, მაგრამ ისე დაიმკვიდრეს აქ ადგილი, როგორც ძირძველმა ბათუმელებმა. მე როგორც ყოფილი მსახიობი, ვიტყვი, რომ თეატრი მათ შემაყვარეს კიდევ უფრო. მათ გვერდით ჩამოვყალიბდი მსახიობად, ვიყავი მათი პარტნიორი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ თავს ვუტოლებ. მეამაყება, რომ ვიცნობდი. მჯერა, მათი სიყვარული ქალაქს ბოლომდე გაჰყვება.



მანუჩარ შერვაშიძე ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ეზოში მეუღლის გვერდით დაკრძალეს.



# ასპარეზობენ პარაოლიმპიელები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*პეკინში 4 მარტს გაიხსნა და 13 მარტამდე გასტანს ზამთრის ოლიმპიადა შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენებისთვის. სპორტის სხვადასხვა სახეობაში 600-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობს*

უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, საერთაშორისო პარაოლიმპიურმა კომიტეტმა (IPC) ამ თამაშებზე არ დაუშვა რუსი და ბელარუსი სპორტსმენები. სანქციები ორივე ქვეყნიდან სულ 83 სპორტსმენს შეეხო. საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს მანამდე განზრახული ჰქონდა, ამ ქვეყნის წარმომადგენლები ზამთრის თამაშებზე ნეიტრალური სტატუსით დაეშვა, მაგრამ კომიტეტის პრეზიდენტის ენდრიუ პარსონის განმარტებით, რუსებსა და ბელარუსებთან ერთად ასპარეზობაზე არაერთი ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა, ისინი ბოიკოტით დაიმუქრნენ, რაც ამ თამაშების ჩაშლის საფრთხეს ქმნიდა.

უკრაინელმა პარაოლიმპიელებმა გახსნის ცერემონიამდე თავიანთ თანამემამულეებს დაუჭირეს მხარი. ისინი ერთად შეიკრიბნენ და მშვიდობა მოითხოვეს ბანერებით: „შეაჩერეთ ომი!“, „მშვიდობა უკრაინას!“ სპორტსმენებმა მსოფლიოს ომის დასრულებისკენ, უკრაინის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სპორტიდან რუსეთის იზოლირების მოთხოვნით არაერთი სპორტული ფედერაცია გამოდის, რამდენიმე საერთაშორისო ფედერაციამ და კომპანიამ კი რუსულ სპორტს სანქციები უკვე დაუწესა კიდეც.

შეგახსენებთ, რომ ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციამ რუსი სპორტსმენები ყველა ტურნირიდან მოხსნა. ევროლიგიდან მოხსნეს ცსკა და სხვა რუსული საკალათბურთო კლუბები, FIFA-მ და UEFA-მ ასევე ყველა ტურნირიდან მოხსნა რუსეთის საფეხბურთო ნაკრები და კლუბები, რუსეთს ყველა ტურნირზე მონაწილეობის უფლებას უკრძალავს მსოფლიო რაგბი, რუსეთის ნაკრები ტურნირებიდან ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამაც მოხსნა.

